62 77

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

სარედაქციო კოლეგია

## ამხ. პ ი ო ნ ე რ ე ბ ო!

ჟურნალი პიონერი № 7-8 ტექნიკური მიზეზების გამო დაგვიანდა. აღნიშნული ჟურ. ამ დღეებში გამოვა და ხელის მოწერლებს დაურიგდებათ.

ჟურ. პიონერის რედაქცია.

# ამხ. პიონერებო!

ალბათ, გვემდურებით, გული გწყდებათ და გვისაყვედურებთ, რომ თქვენი ჟურნალი „პიონერი“ დღემდის დაუშვებელი დაგვიანებით გამოდის. გამოსული ჟურნალები მრავალნომრიანი იყო და წერილები, მოთხრობები, ლექსები, მხატვრობა-სურათები და სხვა მასალები ზოგჯერ უინტერესოც. ამის მიზეზი ბევრი იყო. ჩვენ ამ მიზეზების ახსნით თავს არ მოგაწყენთ, მხოლოდ გაცნობებთ, რომ ამიერიდან ჟურნალი „პიონერი“ გამოვა სისტემატურად თვეში ერთხელ, მიიღებთ დაუგვიანებლად და მასში მოცემული წერილები, მოთხრობები, ლექსები, მხატვრობა და სხვა მასალები ძირფესვიანად იქნება გაუმჯობესებული.

„პიონერი“ იბრძოლებს მესამე თაობის ნამდვილ კომუნისტური აღზრდისათვის.

„პიონერი“ იბრძოლებს სკოლაში პიონერთა და მთელი მათი ასაკის ბავშთა სწავლების მაღალი თვისების მიღწევისათვის.

„პიონერი“ იბრძოლებს სკოლაში შეგნებული დისციპლინის დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

„პიონერი“ იბრძოლებს ბავშთა შორის ინტერნაციონალური მუშაობის გაღრმავებისათვის.

„პიონერი“ იბრძოლებს ბავშთა ანტირელიგიური აღზრდისათვის.

„პიონერი“ იბრძოლებს ბავშთა მიერ სახელმწიფო ქონების დაცვისა, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულებისა და მთლიანად სოციალისტურ მშენებლობაში მათი აქტიური ჩაბმისათვის.

„პიონერი“ გააშუქებს, რომ ბოლშევიკები ქმნიან ახალ გეოგრაფიას: აკეთებენ არხებს, აშრობენ ჭაობებს, აბიბინებულ პლანტაციებად აქცევენ დღემდის უდაბურ ადგილებს, აშენებენ მძლავრ ელსადგურებს, ელოჭტორობით ამოძრავებენ მატარებლებს.

„პიონერი“ მოუთხრობს თავის მკითხველებს ახალი ქარხნების, ელსადგურების შესახებ, მოუთხრობს, თუ როგორ ებრძვიან საბჭოთა პროლეტარები და მეცნიერნი გვალვას, სილას, როგორ იყენებენ მზისა და ქარის ენერგიას, როგორ აუმჯობესებენ მანქანა-იარაღებს, როგორ აიძულეს წყალი გაათბოს მშრომელების ბინა, გაანათოს, მოხარშოს, შეწვას, აუთოოს, ხალხი გადაიყვან-გადმოიყვანოს, განკურნოს, მადანი დაადნოს, დაბეჭდოს ჟურნალი „პიონერი“ და ასეთასეთი სხვადასხვა წიგნი, გაზეთი.

„პიონერი“ მოუთხრობს მკითხველებს ამ გმირული ბრძოლის შესახებ, იმ პირების შესახებ, რომელნიც ქმნიან ახალ ცხოვრებას.

ძნელი იყო ძველი წესწყობილების დამხობა, ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი მშრომელი შეეწირა მუშურ-გლეხური ქვეყნის შექმნის საქმეს.

„პიონერი“ თავის ფურცლებზე მოათავსებს სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებებს.

საბჭოთა კავშირში შემავალ ყოველ რესპუბლიკას სხვადასხვა სიმდიდრე აქვს: ქვანახშირი, თეთრი ნახშირი, რკინა, ტორფი, გუმბრინი, სუბტროპიკული მცენარეები, ფერადი ტყეები — ვინ მოთვლის, რა სიმდიდრე არა აქვს საბჭოთა კავშირს!

„პიონერი“ გააცნობს მკითხველებს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, მათ სიმდიდრეს, ამ სიმდიდრეთა მოპოება-დამუშავების ისტორიას. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ჩვენი ქვეყანა.

„პიონერი“ სისტემატურად დაბეჭდავს წერილებს, მოთხრობებს, ლექსებს და სხვა მასალებს, რაიონული პიონერორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

„პიონერი“ მკითხველებს გააცნობს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა ბავშვების მდგომარეობას და მათ გმირულ ბრძოლას სისხლისმსმელ კაპიტალისტთა დასამხობად.

ყოველ პიონერს გამოწერილი უნდა ჰქონდეს თავისი ჟურნალი, „პიონერი“.

ყოველი პიონერი უნდა იყოს „პიონერი“-ს კორესპონდენტი.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას ბ.
კ. ო. ც. პიونერის თავ-რე

სახელგამის ახალგაზრდ. და
საბავშვო ლიტ. სექტ. გამგე
და „პიონერი“-ს პ/მ რედ.

ჟურ. პიონერის
პ/მ. მდივანი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1917 წლის 7 ნოემბერს (ძველ სტილით 5 ოქტომბერს) დედამიწის ერთი მეექვსედის მუშებმა და გლეხებმა უდიდესი მასწავლებლის ამხ. ლენინის, სტალინის და მთლიანად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დამსხვრიეს ბურჟუაზიული მეფეთა ხელისუფლება და თვითონ ჩაუდგენ სათავეში ძალაუფლებას.

თექვსმეტი წლის წინათ მთელი სიმდიდრე მშრომელთა სისხლის ზსმელ კაპიტალისტებსა და მემამულეებს ეკუთვნოდა, ხოლო ძალაუფლების სათავეში იდგა მათი ინტერესების დამცველი მეფე, თავისი მინისტრებით და მღვდელ-ეპისკოპოსებით. ქალაქის პროლეტარიატი და ღარიბი და საშუალო გლეხობა კი სულს ლევდა მონურ შრომაში, შიმშილსა, სიშიშვლესა და სიცივეში. მამებისა და დედების ტანჯვასთან ერთად ატანჯებოდენ და შიმშილისაგან იხოცებოდენ მათი ბავშვებიც.

კაპიტალისტურმა მძარცველურმა წესწყობილებამ, ლუკმაპურის მოსაპოებლად, მამებთან ერთად დედები და მცირეწლოვანი ბავშვებიც ჩაითრია წარმოებაში. კაპიტალისტებს კიდევ მეტი მხეცური სიხარბე იტაცებდა მოგების გასადიდებლად.

მსოფლიოს მშრომელთა და კომუნისტური პარტიის ბელადების—დიდი ლენინისა და სტალინის მეთაურობით შექმნილი კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლისა და მსოფლიო კაპიტალიზმის დამხობის დიდ საქმეს.

მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლო დედამიწის ერთი მეექვსედის მუშათა კლასმა ძალაუფლების ხელში აღება. მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლებს მსოფლიო მუშათა კლასი კაპიტალისტებისა და ბურჟუების დამსხვრევა-განადგურებას. მუშათა კლასის გამარჯვებისათვის თავდადებული მრავალი მებრძოლი დაიღუპა ძალაუფლების აღებისათვის ბრძოლაში, მრავალი ოჯახი სრულიად განადგურა სამოქალაქო ომმა და რუსეთის დიდი ეელები მორწყო მებრძოლთა სისხლით. მაგრამ რუსეთის გმირულმა მუშათა კლასმა, რომელსაც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ყველაზე მწვავედ დაატყდა კაპიტალიზმის უმაღლესი განვითარების სიმწვავეები, შეძლო შეეთვებული ძალით კაპიტალიზმის დამხობა და ძალაუფლების საკუთარ ხელში აღება.

დიდი გენიოსების—ლენინისა და სტალინის—და მთლიანად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასმა დაანგრია კაპიტალისტური წესწყობილება და, გაანადგურა რა კაპიტალისტების დამქაშების კონტრრევოლუციური ბანდები, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, შექმნა ძლევამოსილი მუშურ-გლეხური წითელი არმია და შეუდგა საკუთარი სახელმწიფოს მართვას.

16 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა თავისი გმირული ბრძოლისა და შრომის შედეგად სრულიად გამოცვალა რევოლუციამდის არსებული ქვეყნის სახე: ააგო უდიდესი და მსოფლიოში პირველხარისხოვანი ფაბრიკა-ქარხნები, შექმნა უძლეველი და სამოლოოდ გამარჯვებული კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობები, ააგო ათიათასობით სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, მოსპო წერაკითხვის უცოდინარობა, მეცნიერა მოიგონა უმაღლესი და საშუალო ტიპის სასწავლებლებით, გაანადგურა ქალაქისა და სოფლის [illegible] მტრები: ნეპმანები, კულაკები და მათი [illegible] საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამბ. სტალინის მეთაურობით შეიდა ჩვენი ქვეყანა მეორე ხუთწლეულში, მყარდება უკლასო სოციალისტური საზოგადოება. თავის მამებთან, დედებთან, ძმებთან და დებთან ერთად სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე ფხიზლად დგას ჩვენი ახალი თაობა. მანაც დაკარგა მუშათა წრიდან გამოსული მრავალი ტოფ-ამხანაგი რევოლუციის ქარცეცხლში და სისხლი ღვარა მუშათა კლასის გამარჯვებისათვის ბრძოლის ფრონტებსა და ბარიკადებზე. იგი ლენინისა და სტალინის დროშით ხელში ფხიზლად დგას რევოლუციის მონაპოვარის სადარაჯოზე: ამყარებენ მუშათა კლასის მტრების ოინებს, იცავს საზოგადოებრივ ქონებას, აღვივებს ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს, იბრძვის მოსახლეობის კულტურული დონის ასამაღლებლად და საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ითვლის 16 წლის მანძილზე ბრძოლისა და გამარჯვების მრავალ მიღწევას.

კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი და მისი ჭრიდან გამოსული ახალი თაობა, რომელიც სულს ლაფავენ კაპიტალისტების მწვავე ულლის ქვეშ, ოქტომბრის რევოლუციის 16 წლის თავს კაპიტალისტების წინააღმდეგ მოწყობილი გმირული ბრძოლებითა და დემონსტრაციებით ხედებიან. ისინი მაგალითს იღებენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის რევოლუციური გამოცდილებიდან, და შორს არაა ის დრო, როდესაც რკინისებურად შეკავშირებული მსოფლიო მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამსხვრევს მსოფლიო კაპიტალიზმს და დაადგურგვინეს მუშათა კლასის განთავისუფლების დიდ საქმეს.

ა. რ.

# 15 წლის მანძილზე.

მებრძოლი პროლეტარული ახალგაზრდობის მცირერიცხოვანი, 20 ათასიანი რაზმი 15 წლის ბრძოლისა და გამარჯვების მანძილზე, ლენინური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, ხუთ მილიონ მძლავრ მონოლიტურ ორგანიზაციად გადაიქცა, რომელსაც დღეს სოციალისტური შენებლობის ყველა ფრონტზე ლენინური ბრძოლის წარმატებით წარმოებისათვის მიღებული აქვს ორი ორდენი: საბრძოლო და „შრომის წითელი ორდენი“.

ეს მძლავრი მრავალმილიონიანი არმია დღეს პარტიასთან ერთად იბრძვის, როგორც მისი თანაშემწე, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, ილიჩის უშუალო მითითებათა საფუძველზე. „იგი შექმნა ხალხთა უდიდესმა ბელადმა ვლადიმერ ილიასძე ლენინმა; იგი აღზარდა ილიჩის საუკეთესო თანამებრძოლმა, საკ. კ. ს. (ბ) და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ბელადმა ამხ. სტალინმა“ (კოსარევი).

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 1919 წლის მაისში, პარტიის და ხელისუფლების მოწოდებისთანავე, რომ ყველას მიეღო მონაწილეობა რესპუბლიკის დაცვაში, გამოაცხადა კომკავშირის მობილიზაცია აღმოსავლეთ ფრონტზე. კომკავშირელთა მასა მხურვალედ გამოეხმაურა თავისი ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას და ბრძოლის ველზე გაიყოლია რევოლუციური ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი ძალები. რუსეთის მუშური რევოლუციური ახალგაზრდობა მთელი სამოქალაქო ომის მანძილზე შეუპოვრად იბრძოდა, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით მებრძოლ პროლეტარიატთან ერთად, ბარიკადებზე დენიკინის, ვრან-

ველის, კოლჩაკის, იუდენიჩის და სხვა კონტრრევოლუციონერთა ბანდების წინააღმდეგ. მან საბჭოთა რესპუბლიკის დაცვას შესწირა ენერგიით სავსე საუკეთესო ახალგაზრდა მებრძოლნი, მან საპატიო ადგილი დაიჭირა სამოქალაქო ომის ისტორიაში. ჩვენს ლენინურ კომკავშირს თავისი სისხლის წვეთებით აქვს შეღებილი ოქტომბრის წითელი დროშა, ის დროშა, რომელიც რუსეთის მებრძოლმა პროლეტარიატმა სამოქალაქო ომის სისხლში ამოაგლო.

პარტიის მეთითეებთა საფუძველზე კომკავშირის ორგანიზაცია, სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის განმავლობაში, პარტიასთან ერთად იბრძოდა დანგრეული მეურნეობის აღდგენისათვის.

კომკავშირის ორგანიზაცია დღითი-დღე იზრდებოდა რიცხვობრივად და მტკიცდებოდა იდეურ-პოლიტიკურად ლენინური პრინციპების საფუძველზე. ქალაქად კომკავშირის ორგანიზაცია იზრდებოდა მოწინავე მუშაახალგაზრდობის ხარჯზე, სოფლად—მოჯამაგირეთა და უღარიბესი გლეხების ახალგაზრდების ხარჯზე, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლებისთვის სოფლად მთავარ დასაყრდნობ ძალას წარმოადგენდნენ. კომკავშირის ორგანიზაციამ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, როგორც პარტიის უერთგულესმა თანაშემწემ, სამეურნეო ფრონტზე ენერგიული მუშაობის წარმატებით დიდი ნდობა დაიმსახურა. 1923 წ. მეექვსე ყრილობაზე კომკავშირის ორგანიზაციამ მიიღო ბელადის, უდიდესი მასწავლებლის, ლენინის სახელწოდება, რის შემდეგ ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი ეწოდება.

ლენინური კომკავშირი შრომის სოციალისტური ფორმებისა და მეთოდების—სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის—პირველი ინიციატორია.

ლენინური კომკავშირის წინაშე კიდევ უფრო გაზრდილი ამოცანებია დასმული მეორე ხუთწლედის შესრულების საქმეში, სადაც ჩვენ პარტიასთან და საბჭოთა პროლეტარიატთან ერთად, ჩ/პარტიისა და მისი ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით, უნდა ავაშენოთ უკლასო სოციალისტური საზოგადოება. 15 წლის თავთან დაკავშირებით ეს ამოცანები კიდევ უფრო გაღრმავებით ისმება როგორც კომკავშირის, ისე მისი თანაშემწეს, თითოეული პიონერის წინაშე.

15 წლის თავზე კომკავშირის ორგანიზაციამ ახალი ვალდებულება აიღო ჩვენი მშენებლობის ყველა ფრონტზე, მას აღებული აქვს ვალდებულება პიონერთა თამბის კომუნისტური აღზრდისა და ხელმძღვანელობის საქმეში. თითოეულმა პიონერმა უნდა აიღოს კონკრეტული ვალდებულებანი მუშაობის გარდაქმნის საქმეში, სწავლის დაუფლების დარგში, ტემპისა და ხარისხისათვის ბრძოლაში.

წინ, ლენინის დროშით, ახალი გამარჯვებისაკენ!

ჟ. ბოლქვაძე.

# ახჩაკუიმა.

ქარი, ქარი
ფრთამაგარი,
ზღვისპირების ქარი,
დაუმდგარი, გამყივარი,
მფრინავი და ჩქარი,
და ქვიშნარი დანაყარი,
უდაბნო და ბარი.
საშიშარი ზღვის გრიალი
და ტალღების ზარი,
რისხვიანი, სისხლიანი,
ჰა, კასპიის მხარე,
ოცდაექვსი კომისარი—
კომუნისთვის მკვდარი!
აი, თითქოს
უდაბნოში
მათი ნეშტი ყრია,
სასიკვდილოდ მიუყრიათ
ჯალათებსა ტყვია,
ყვავს და ყორნებს წუელია
და ქარიშხლის ყიალს.
შეჩვეულნი ამბოხებას,
აქ სიჩუმეს ქმნიან,
მათ კომუნის ბაირაღი
და გმირები ჰქვია,—
ალიოშა ჯაფარიძეს,
სტეფან შაუმიანს!
განა
მართლა დაიხოცნენ,
არ არიან მართლა,
არა ჩანან ქვეყანაზე
იმედად და ნათლად,
მილიონი მებრძოლების,
დაჩაგრულთა სარდალ?!
არა,
სტეფან შაუმიანს
ვინ გაუთხრის საფლავს!
იგი ახლაც ცხაურია,
მტრებისათვის ზაფრა,
ქვეყანაზე ომს აჩაღებს
მრავალრიცხოვანთან მძაფრად,
აუვლია, ჩაუვლია
თვალზე უფრო ცსწრაფლად.
და შენდება გიგანტები
იმ ნავთიან მხარეს,
სადაც სისხლი კომუნისთვის
ნაკადულად ღვარეს,
დე, მტარვალმა შეაგინოს,
ჩაგრულებმა აქონ,
მათი ძეგლი და სახელი:
კომუნა და ბაქო!

ირ. აბაშიძე.

65 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველნაირ-ძაბუსკრიპი



1.

შემოდგომა ახალი დაწყებული იყო.

ტფილისში უცაბად არაჩვეულებრივი სამზადისი შეიქნა. ტფილისის პროლეტარიატი პლეხანოვის პროსპექტის ორივე კიდეზე მოგროვდა. პროსპექტის შუა ნაწილზე უამრავი გაკრიალებული ეტლი ბუზივით ირეოდა. შოფერებს სახელოები იდაყვებამდის ჰქონდათ დამკლავებული და მათ მზით გარუჯულ სახეზე მხიარულების ელფერი ლივლივებდა, რადგან რკინის მერნებს ტფილისის ქუჩებში ნიავით დაქროლებდენ.

პროსპექტი გაიავსო ავტოებით, მოტოციკლეტებით, კაცებით, ქალებით, ბავშვებით, და ტრამვაის თავისებური სიჩქარით სიარული აღარ უხერხდებოდა. წუხდა ვატმანი და ტრამვაის ფეხმოტეხილი ძაღლივით აწაწკანებდა.

—აი, "შეხედე, ჩვენი ტფილისი გამოიცვალა. ძველი ტფილისი წარსულს ჩაბარდა, რადგან იგი გამოცვალა ამხანაგმა ინდუსტრიამ.

—ჩვენ ახლა მტკიცე ნაბიჯებით მივდივართ წინ, ჩვენ ახლა უკვე მზად ვართ ინდუსტრიის ცხენზე შესასხდომად და აღარ გვიკვირს ძველი ტფილისის განახლებული და ასხივოსნებული სახე.

ასე ეგაასებოდა ერთმანეთს ორი ჭაღარა მუშა. მათ მაზუთში გასერილი ხალათები ეცვათ და მხიარულების მეტყველ სახეზე მეტად ჰშვენოდათ ახლადშეეერცხლილი მოგრძო ულვაშები.

პროსპექტზე ხალხი მჭიდროდ იდგა. ისინი თავს მაღლა წევდენ და მანქანების ფუსფუსს აკვირდებოდენ, თითქოს ავტოების ზეიმი იყო.

—შოფერობა, ძმაო, კარგი საქმეა.

—უდაოდ,—უპასუხა მეორემ.

—კარგ შოფერს ორი თვისება უნდა ჰქონდეს: მანქანის სიყვარული და გამბრაიანი თვალი,—თქვა მესამემ, რომელიც თვალს არ აშორებდა ეტლების გეგმიან მოძრაობას...

2.

ყველაფერი საზეიმოდ იყო მორთული. ქუჩებში პლაკატებია გაკრული, და დროშები ფრიალებს. ზოგი გაკვირვებული თვალით უცქქროდა ხალხს და ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ იყვნენ მოგროვილი.

—სექტემბერია და არც რევოლუციური დღესასწაულებია,—ფიქრობს ვიღაც და ასე ერთიმეორეზე მიწყობილ ადამიანებს აქეთ-იქეთ წევს, წყნარად მიაბიჯებს და თვალს ავტომანქანების გუგუნსა და სწრაფ მოძრაობას არ აშორებს.

—კითხვა სირცხვილია. რაც ამდენმა ხალხმა იცის, ის ხომ მეც უნდა ვიცოდე,—ბჟობს კიდევ რომელიღაც და თავს უკმაყოფილოდ გრძნობს. მართალია, ამ ფიქრის დროს თავს დანშავედ თვლის, მაგრამ თავის უვიცობას არავის უმჟღავნებს. ის მიჰყვება მასების ტალღებს, ყველაფერს ხედავს და ყურს უგდებს სხვების ლაპარაკს, რომ ეგებ რამე გაიგონოს.

ბავშთა კულტურისა და დასვენების ბაღის შესასვლელში თაღზე წითელი ტილო იყო გაკრული, რომელზეც ეწერა:

„ჩვენი მხურვალე სალამი მოსკოვ--ყარა ყუმ—მოსკოვის ავტოგადარბენის მონაწილეებს!"

ადამიანმა, რომელიც განცვიფრებული თვალით მიარღვევდა ზღვახალხის ტალღებს, თვალი მოჰკრა წარწერას და უცბად მიხვდა უამრავი მანქანის მოძრაობის მიზეზს.

მან უკვე ყველაფერი გაიგო, რადგან მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვენი გაზეთები ინტერესით ლაპარაკობდენ მოსკოვ—ყარა-ყუმ—მოსკოვის ავტოგადარბენის შესახებ. ამ ავტოგადარბენის ყარა-ყუმის უკზო ქვეყანაში გამარჯვება საბჭოთა რესპუბლიკის მიერ დამხადებული ავტოების ბრწყინვალე გამარჯვებაა.

3.

ამ ზაფხულის ივლისის ექვსს დაიწყო მოსკოვში სამზადისი ცხრაათას ხუთასკილომეტრიანი მანძილის გადასარბენად. უგზო ქვეყანაში ძნელია ასეთი საქმის დაწყება, მაგრამ ვის გულშიც ბოლშევიკური გამბედაობა, სიხარული და აღტაცება ჩქეფს,—მისთვის დაუძლეველი არაფერია.

ნაშუადღევს მაქსიმ გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ბაღში შვილივით ოვლილი 23 მანქანა ამწკრივდა. გადარბენაში მონაწილე 19 მანქანის სამშობლო საბჭოთა კავშირია. ისინი ჩვენს სოციალისტურ რესპუბლიკაში დაიბადნენ და ახლა ათასეულკილომეტრიანი მანძილის გადასარბენად ემზადებიან.

ასეთი იყო მათი გადარბენის დასაწყისი...

დიდი იყო მათი მიზანი, და ამიტომ მოგროვდა ტფილისის პროლეტარიატი უძვირფასესი სტუმრების შესახვედრად. ყველას უნდოდა თავისი თვალით ენახა ამ გმირული საქმის მონაწილენი.

—რატომ მოაწყვეს ეს გადარბენა, რა არის ამ გადარბენის მთავარი მიზანი?—კითხულობდა ვიღაცა.

—გადარბენის მიზანი, ამხანაგო, ძალიან დიდია. მან უნდა დამტკიცოს საბჭოთა მანქანების ღირსება და უპირატესობა უცხოეთის ფირმების მანქანებთან შედარებით,—

—უპასუხა გვერდში მდგომმა.

—კიდევ მეტი, ამხანაგო, მათ მიზნად აქვთ დასახული ყარა-ყუმის გამოკვლევა, იქნებ იმ უდაბნოს გამოყენება შესაძლებელია. ამის შესახებ თავის დასკვნას გადარბენის მონაწილენი აუცილებლად გვეტყვიან.—დაამთავრა აზრი მესამემ.

პიონერები იდგენ თავისებური სიმკვირცხლით და ვერ ისვენებდენ. მათ ჩქარა უნდოდათ იშვიათი სტუმრების ნახვა...

შუა ტფილისში გაწოლილი და მოასფალტული ჰოლხანოვის პროსპექტი გაივსო ავტომობილთა და მოტოციკლეტებით. ტრამვაი მათ შორის ნელი ტემპითა [illegible] რეკით დრიტორიგით მიდიოდა. მისი ნელი [illegible] ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ირგვლივ მყოფთ ეკითხებოდა:

—რა სამზადისია? ვის ელოდებით?

ასე დინჯად გაივლიდა იგი პროსპექტს.

ალბათ, უეცრად რაღაც ბრძანება იყო, და უამრავი ავტო ერთბაშად აიშალა. შეიქნა უცნაური ხმაური. მუსიკისა და მანქანების ხმაურში ყურთასმენა აღარ იყო. ისინი სტუმრების შესახვედრად გამგზავრნენ ნავთლუღისაკენ მიმავალი გზით. ჰაეროპლანები აფრინდენ და ეროპორტის გაშლილ მინდვრებს თავს დასტრიალებდენ. ტფილისასაკენ შურდულივით მომავალი იშვიათი სტუმრების მოახლოება პირველად ჰაერში აფრენილმა ადამიანმა იგრძნო და მერე დამხედურებს აცნობა თავისებური სწრაფი მოტრიალებით.

— მოახლოვდენ, მოახლოვდენ სტუმრები!—გაისმა აქეთ იქით შორეულ მგზავრთა მოლოდინე ხალხის წრეში.

—არამც თუ მოახლოვდენ, აი, გამოჩნდენ კიდეც!—თქვა ვიღაცამ სწრაფად, და ყველამ მიაპყრო თვალები გარეკეთის მხრიდან მომავალ გზას.



66

4.

დაცემულ ტრიალს მინდორზე, შორს, ცისფერი ავტობების მწკრივი გამოჩნდა. შორიდან ნასროლი მზერა ავტობებს ერთმანეთისაგან ვერ აცალკევებდა, და ისინი თითქოს ერთიმეორეზე იყვნენ გადაბმული. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი ნათლად გამოჩნდა. ავტობები მოქროდენ, და შიგ ისხდენ მზით გარუჯული მგზავრები, რომლებიც წამოვიდენ საპოთა კავშირის გულიდან, გამოიარეს ყარაყუმის უდაბნო ველები და ორი თვის მგზავრობია შემდეგ მოადგენ ტ ფილისის კარს. ტფილისელებმა კი ადრევე დაიწყეს სამზადისი ამ ძვირფასი სტუმრების შესახვედრად.




ისინი ხანგრძლივი მგზავრობის გამო ძალზე მოქანცული იყვნენ, მაგრამ მათ სახეზე უდიდესი კმაყოფილება კრთოდა, რადგან გამარჯვება სიამაყით მოჰქონდათ.

შორეული მგზავრები და ტფილისელები ნავთლულიდან ერთად გამოემართნენ თავისუფლების მოედნისაკენ. ქუჩები, რომლებითაც ისინი მოდიოდენ, ორივე მხრით ხალხით იყო გაჭედილი. ყველას უხაროდა ამ გაბედული მგზავრების ამაყად შემოპრა ტფილისში, და ისმოდა უამრავი ხალხის მისალმებანი:

—სალამი უდაბნოს მგზავრებს!

—გაუმარჯოს ჩვენი ქარხნის შვილებს, ჩვენს ავტობუს!

ხალხის გულწრფელ მისალმებათა ხმების გუგუნება მიაცილა დაღლილი, მაგრამ გამარჯვებით აღფრთოვანებული მგზავრები თავისუფლების მოედნამდის.

66

81

Digitized by Google
Original from Harvard University

თავისუფლების მოედანზე ტფილისის პროლეტარიატმა გულწრფელი სალამით მიიღო შორეული მგზავრები. ხალხი, რომლითაც მოედანი გაჭედილი იყო, ხანგრძლივ ოვაციებს უმართავდა სტუმრებს...

5.

მფრინავი მიტინგი დასრულდა.

ავტომანქანები აიშალნენ.

—ნეტავი ჯერ კიდევ არ წასულიყვენ!—უკმაყოფილოდ თქვა ერთმა.

—რა კარგი იქნება, ასე შორს მეც რომ ვიმგზავრებდე! მე ძალიან შემიყვარდა შორეული მგზავრობა,—მიმართა ბიბას პიონერმა, მამამ კი ალერსით უპასუხა:

—შვილო, შენ ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და უფრო დიდი საქმე უნდა შეასრულო. თუ ხალისი და მისწრაფება გექნება, ყველაფერს დაძლევ.

ბავშვი კმაყოფილი გაჩუმდა ბიბას და მომავალი მგზავრობის შესახებ მაინც ოცნებობდა.

6.

უდაბნოს მგზავრები ორი დღე დარჩენ ტფილისში და ჩვენი ქარხნების მუშებთან საუბრებს მართავდენ თავიანთი მგზავრობის შესახებ. მათი გამარჯვებით აღფრთოვანებული ტფილისის პროლეტარიატი ინტერესით უსმენდა გმირობით აღსავსე მგზავრებს, რომლებიც დინჯად უზიარებდენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

—მოდი, ერთი, ჩვენც მივისმინოთ ამ სახელგანთქმული მგზავრების საუბარი, კარგ რამეს იტყვიან და გამოგვადგება,—უთხრა ერთმა შოფერმა მეორეს.

—კარგი იქნება. მაგრამ ისინი, ალბათ, ჩვენებურ მიმოსვლას არ მოიწონებენ,—უპასუხა მეორემ.

—რატომ არ უნდა მოიწონონ, ვითომ, ჩვენი მიმოსვლა? მანქანას რომ გავუშვებ, თვალიც ვერ მოეწევა,—თქვა ისევ პირველმა, რომელთაც ერთხელ ელბაქიძის დალმართ-

ზე ავტო უეცრად ტრამვაის დაეჯახა. მან შიში მერე იგრძნო, უცბად შემოატრიალა ავტო და რუსთველის პროსპექტს მიაშურა, უკან მიჰყვა სასტუმროების ხმა, მაგრამ ამ შოფერს ეს შემთხვევა აღარ მოაგონდა, რადგან მრავალი ასეთი შემთხვევა ჰქონია.

შორეულ მგზავრთა ერთ საუბარს ეს ტაბილად მოსაუბრე შოფერებიც დაესწრნენ. სტუმრებმა ბევრი საინტერესო რამ ილაპარაკეს თავიანთი მგზავრობის შესახებ. ისინი დარწმუნებით ლაპარაკობდნენ, რომ ყარა-ყუმი, რომელიც დღემდის უდაბნოდ იყო ცნობილი, თურმე ვამოსადეგი ყოფილა მესაქონლეობისათვის. ბოლოს, ისინი მანქანის მოძრაობასა და მის მოვლა-პატრონობაზე შეჩერდნენ, რადგან ცხრაათასიანი კილომეტრის გავლაში მოოლად ავტომობილი იყო მაინ დამხმარე. ისინი უმაყოფილო იყვნენ ტფილისის შოფერებით, რადგან აქაურები ავტომანქანას უდიერად ეპყრობიან. ამიტომ იყო, რომ ერთმა მგზავრთაგანმა უმაყოფილოდ აღნიშნა:

—ალბად, არცერთ ქალაქში ავტომობილებს ასეთ ფასად, რიგოდ არ ამოძრავებენ, როგორც ტფილისში—

ეს იყო მათი უკანასკნელი მითითება.

9 სექტემბერს მოსკოვ—ყარა-ყუმ—მოსკოვის გადარბენაში მონაწილე და მგზავრობაში გაწაფული 23 მანქანა პლეხანოვის პროსპექტზე ჩამწკრივდა. ისინი დაემშვიდობენ ტფილისელებს და საქართველოს სამხედრო გზით გამართნენ.

მათ მიუხაროდათ მოსკოვში, რომ იქაური პროლეტარიატისათვის ჩქარა მიეტანათ საბჭოთა მანქანების, მეცნიერებისა და ინჟენერების საოცნებო გამარჯვება.

ლავრ. ჭიჭინაძე.

ენკენისთვე მიიწურა,
შემოდგომის დაკრა ქარმა,
სამხრეთისკენ იწყო დენა
რიგ-რიგობით ფრინველთ ჯარმა.

შეხეთ მერცხლებს, რა ყოფა აქვთ,
რა ჭიკჭიკი, ერიამული,
სიხარულს თუ სიმწუხარეს
აღარ იტევს მათი გული!

სულ გუნდებად დაფრინავენ,
მინდერებს აუვლ-ჩაუვლიან,
გეგონებათ: ხეს, მცენარეს
ჭოკნიან და თითქოს თვლიან.

ბაღჩა, ბაღი, კორდი, ველი,
წყაროები მთლად მოთელეს,
გალობით და ჭიკჭიკითა
გადაეკლნენ სოფლის ღელეს.

და გაფრინდენ თბილ ქვეყნისკენ
აქ დაჩეკილ-დაზრდილები,
ჩვენ ალერსი დაგვიტოვეს
ჟღურტულით და ტკბილის ხმებით.

როცა ყველა კუთხე, წილი
ფრენით გადას-გადმოსერეს,
ყველა მათგანს სიყვარულით
წაუჭიკჭიკ-წაუმღერეს.

ბალღებს ხვეწნა დაუბარეს:
არ დაგვირჩეთ გულის ტკენით,
კვლავ თქვენთან ვართ გაზაფხულზე
ჭიკჭიკით და მარდი ფრენით.

ზ. მღვიმელი.

# ბავშთა საერთაშორისო კვირეული.

2-9 ოქტომბრამდის ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში პროლეტარული ბავშვები დღესასწაულობენ ბავშთა საერთაშორისო მეცამეტე კვირეულს. კაპიტალისტურ ქვეყნებში ბ. ს. კ. პროლეტარულ ბავშთა დემონსტრაციაა მონობის, ექსპლოატაციის, შიმშილის, სიღარიბისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში ბ. ს. კ. პარტიისა და კომკავშირის აქტიური თანაშემწეს — პიონერთა ორგანიზაციის — მიღწევათა დათვალიერების კვირეულია.

განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც ტარდება წელს ბავშთა საერთაშორისო კვირეული, იმაში მდგომარეობს, რომ წელს ბურჟუაზიული ქვეყნების ბავშთ^ მონაწილეობა კაპიტალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდად გაიზარდა. ბავშვები ხდებიან აქტიური მონაწილენი გაფიცვების, დემონსტრაციების, ისინი ასრულებენ რევოლუციური ორგანიზაციების მრავალგვარ დავალებას, ავრცელებენ გაზეთებს, ფურცლებს და სხვა. ისინი მონაწილეობას იღებენ მუშთა კლასის რევოლუციურ გამოსვლებში და თვითონაც აწყობენ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს სკოლებში.

ბრძოლა გრძელდება და ფართოვდება. ბავშვები ვერ ურიგდებიან შიმშილს, სკოლებში წამებასა და ექსპლოატაციას და თავიანთ მოთხოვნებს უყენებენ განათლების ორგანოებსა და სკოლების ხელმძღვანელთ. საკმარისია მოვიყვანოთ თუნდაც ერთი მაგალითი, რომელიც შესანიშნავად ახასიათებს პროლეტარულ ბავშთა ორგანიზაციულობასა და დარაზმულობას: ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პროლეტარულმა ბავშვებმა სპეციალური დელეგაცია გაგზავნეს ვაშინგტონში პრეზიდენტთან უმუშევართა ბავშვებისათვის სკოლებში საუზმისა და ტანსაცმლის გასაცემად. რასაკვირველია, ბავშვების მოთხოვნა არ დაკმაყოფილეს, დახმარების მაგიერ დელეგაცია პოლიციამ დაიპატიმრა, მაგრამ ბავშთა დიდი შეგნებისა და ორგანიზაციულობის ფაქტი დარჩა ჩრთილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მუშთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

განსაკუთრებული დეკრეტები, ჩაგვრა და ტერორი კომუნისტების წინააღმდეგ თანდათან მატულობენ, და ეს არ ინდობს ბავშვებსაც.

ლატვიის მთავრობამ თავის სისხლის სამართლის ახალ კოდექსში შეიტანა პუნქტი იმის შესახებ, რომ რევოლუციური მოქმედებისათვის ციხე და სასამართლო შეეხება ბავშვებსაც 12 წლის ზევით. ჰიტლერისა და მუსოლინის ფაშისტური მთავრობები არა თუ კრძალავენ და დევნიან პიონერთა ორგანიზაციებს, არამედ მოსწავლე ბავშვებსაც იძულებულნ ხდიან მიიღონ მონაწილეობა ფაშისტურ მუშთა ორგანიზაციების მუშაობაში.

პოლონეთის პოლიციამ სასწავლებლის წინ დაიპატიმრა 14 წლის სამი პიონერი კომუნისტური ლიტერატურის გავრცელების დროს.

ჰუნგრეთში დაპატიმრებულია 30-წლეარიანი სასკოლო კომუნისტური უჯრედი, რომელიც „ცდილობდა მოთხრობებით ჩაენერგა ბავშვებისათვის კომუნისტური იდეები".

ვარშავის სასამართლომ (პოლონეთი) 11 წლის პიონერს, რომელიც დემონსტრაციის დროს დაიჭირეს, გამასწორებელ ციხეში მოთავსება მიუსაჯა. გაჩხრეკის დროს პიონერს აღმოაჩნდა რემედასის მოწოდებები და პოლიტპატიმრების დახმარებისათვის შედგენილი ხელნაწერი ფურცლები. პროკურორი მოითხოვდა მრისხანე სასჯელს „ბავშვებში კომუნისტური საწამლავის გავრცელებისათვის".

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეგვეძლო უცხოეთის ახალგაზრდა ბოლშევიკების მუშაობისა და გმირული მოძრაობის პრაქტიკიდან.

მაგრამ დევნასა და დაპატიმრებას არ შეუძლია შეაჩეროს ახალგაზრდა ბოლშევიკების არმიის ზრდა. ყველა მხარეში არსებობს და იზრდება ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციების გავლენა.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ლენინელები ყოველდღიურად მონაწილეობენ სოციალისტურ აშენებლობაში და იბრძვიან სწავლის თვისების საპასუხისმგებლო ფრონტზე ისე მეგზარად, როგორც უცხოეთში მათი ძმები ომიაა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

ჩვენი რემედასის ორგანიზაციას ათეულ და ასეულ ათასობით ჰყავს თავის რიგებში აქტიურად მომუშავე ბავშვები, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ გლეხთა ბავშვებს შორის ინტერნაციონალური მუშაობის ორგანიზატორები.

საბჭოთა კავშირის რემედასის ორგანიზაცია ბავშთა საერთაშორისო კვირეულს ატარებს ბ. ს. კ. წრეების მუშაობის ფართო შემოწმების ნიშნის ქვეშ. ის ამოწმებს, თუ როგორ იბრძვიან რემედასის მოზარდი მეგობრები სწავლის თვისებისათვის, როგორ ემსახურებიან რემედასის უჯრედებს, თესვის, მოსავლის აღების, უტილნდღეულის შეგროვებისა და სხვა მრავალ კამპანიაში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცკ-ის 1932 წლის 21 აპრილის დადგენილების დღიდან

(პიონერორგანიზაციების მუშაობის შესახებ) თითქმის წელიწადნახევრამდე განვლო. ამ დადგენილებაში განსაკუთრებით იყო აღნიშნული, რომ საჭიროა გადაჭრით გაძლიერდეს აღშრდელობითი მუშაობა პიონერრაზმებში და ამაღლდეს პიონერორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ინტერნაციონალურ აღზრდას ნაციონალისტური, დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინებისა და კუთხური ნაციონალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით.

ამ დადგენილების საფუძველზე საბჭოთა კავშირის ცეკამ დაადგინა ჩამოყალიბოს თაიისთან და ნაციონალურ, საოლქო და რაიონულ რემედასის კომიტეტებთან ბავშვთა სექტორები, რომელთაც ევალებათ გაშალონ რემედასის მუშაობა პიონერორგანიზაციებთან და სკოლებში. ზოგიერთ კომიტეტს ეს გადაწყვეტილება უკვე შესრულებულიც აქვს. ბავშვთა სექტორები უკვე ჩამოყალიბდა, არის თვალაჩინო ძალებიც მუშაობაში, დაწყებულია ბავშვთა შორის ახალი ფორმებით მუშაობა (ბავშვთა ინტერნაციონალური კონგრესები), გაძლიერდა ბავშვთა მონაწილეობა რემედასის ორგანიზაციების სხვადასხვა კამპანიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა შრომის აღრიცხვა და ორგანიზაციული განმტკიცება დღემდის ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, შეიძლება ითქვას, რომ იგი არც არსებობდა, ზოგჯერ კარგი ღონისძიებები ვერ გვაძლევდნ სათანადო შედეგებს. რემედასის მოზარდ მეგობართა ორგანიზაციის ზრდა თვითდინებაზე იყო დამოკიდებული და სხვ. ბავშთა საერთაშორისო კვირეული უნდა ჩატარდეს რემედასის მოზარდ მეგობართა წრეებში ძალიან ფრთხილად და მოწიფეთა მასობრივად ჩაბმის ნიშნის ქვეშ.



ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დღეებში უნდა ჩატარდეს რემედასის მოზარდ მეგობართა წრეების კრებები, ბავშთა ინტერნაციონალური კონგრესები და სხვ.

ყველა პიონერი, ჩვენი პროლეტარული ბავშვები უნდა იყვნენ რემედასის აქტიური მუშაკები.

**ეაწი.**

# ლენინური კომკავშირი

ყველას ამცნობს ეს ზეიმი,
ეს დროშები ძალზე ხშირი,
რომ ბრძოლის და შრომის ფრონტზე
გაიზარდა კომკავშირი.
გაიზარდა... მოდის მტკიცედ.
ხარობს ხალხი, ხარობს ქალი.
თხუთმეტი წლის მებრძოლია
და ვაქაცის ძალა უჩანს.
ამ ხანაში, ამ ზეიმში
თქვენ, მეგობრულ ადგილს იქერთ.
გიხარიათ, რომ უყურებთ
კომკავშირელ გოგო-ბიჭებს.
გაქვთ ხალისი უანური,
ზეიმისთვის გული წმინდა.
ღირსებაა, როცა ვხედავ—
კომკავშირში ყოფნა გინდათ.
აი მიტომ პიონერებს
მუშაობა გმართებთ დინჯი,
გამარჯვების მტკიცე რწმენა,
წესრიგი და ბრძოლის ნიჭი.
მოდის, მოდის, ვინც თქვენ გიყვართ.
ხარობს ხალხი, ხარობს ქალი.
თხუთმეტი წლის მებრძოლია
და ვაქაცის ძალა უჩანს.
მეც ის მიყვარს... მეც მახარებს
ეს დროშები ძალზე ხშირი.
მეც იქ ვიდექ, სადაც იდგა
ჯანის მქონე კომკავშირი.
დღესაც, დღესაც მასთან ვდგავარ,
გვაქვს ერთი გზა, ერთი ფიქრი,
ყოველ ფრონტის შეტევებში
მოწიხავე რაზმად მივქრით.
ვარ ზეიმის მონაწილე,
ტრიბუნიდან ვიღებ სიტყვას,
ბრძოლის ცეცხლში გავიქეცდეთ
და ისევე ბრძოლა გვიყვარს!
მტერი მტრულად გვითვალთვალებს,
გესლი უჩანს ოხერ ტიალს.
ჩვენმა მკლავმა ისუმცა ბევრჯერ
მკერდის ძვლები შეუმტვრია,—
მაინც ღრიხავს... არ დავზოგავთ.
გმირობას და ძალას ვიჩენთ.
რა ჩაგიქრობს ბრძოლის ხანძარს
კომკავშირელ გოგო-ბიჭებს!
ბრავალი ვართ. ჩვენი ქვეყნის
ყველა ხალხის გამარჯვ შეილებს
ერთი აზრით, ერთი საქმით
ჩვენს რიგებში ვაკავშირებთ.
ძვირფასია ეს უნარი,
საბჭოთის ცა და მიწა.
შშენებლობის ტემპს ვაჩაღებთ
და მიღწევებს თოფით ვიცავთ.

**გიორგი კაკაბაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიპოვე ამხ. ა. იგი ქალაქის პარტკომშია.

— სასწრაფო საქმე არაფერი მაქვს, წავიდეთ, აქედან შორს არ არის...

გზადაგზა ვსაუბრობთ.

— როდესაც ისინი დაეპატიმრეს, მე უკვე საპყრობილეში ვიჯექი, სხვა საკანში. 17 სექტემბერს მოიყვანეს. შევეცადე სამსახური გამეწია. სამოვარი დავდგი და სხვა. საჭირო იყო მა ითან საკანში შესვლა. მერე სულ მათთან ვიყავი—დღენახევარი დარჩენ აქ. გულადი, ძლიერი ხალხი იყო. მათ საკანში კუნი მივიდა, მაღალი, ზორბა.

— ვინ არის თქვენი მთავარსარდალი?

— აქ არ არიან მთავარსარდლები.

— მაშ ვინ არის შაუმიანი?

— მე ვარ,—მიუგო სტეფანემ, რომელიც წამოწოლილი იყო.

— ადექით!

— მე ასეც შემიძლია ლაპარაკი.

— განა არ იცით, ვინ გელაპარაკებათ? მე კუნი ვარ... არავინ ამდგარა.

— გრძნობდენ თუ არა ისინი, რა ბედი მოელოდათ?—ვკითხე ჩემ მოსაუბრეს.

— გრძნობდენ კი არა, დანამდვილებით იცოდენ. როდესაც საპყრობილეში მოიყვანეს, ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ მათ სიკვდილი არ ასცდებოდათ, და მე, როცა მათი სიმამაცე დავინახე, ერთბაშად და დაუფარავად ვუთხარი მათ ეს.

— იმათ რაღა თქვეს?

სრულიად დამშვიდებულნი შეხვდენ ჩემს სიტყვებს.

შევდივართ საპატიმროს ეზოში. ცალიერი ოთხკუთხედი ადგილი აუცილებელი ფანჯრით, „17"-ის საკანის ფანჯრის ქვემოთ—პატარა ამწვანებული დაბეჩავებული ხე. ავყევით კიბის საფეხურებს, გავიარეთ ვიწრო დერეფნები და საპატიმრო სახლის უფროსის თანხლებით გავედით პატარა შენობის ბოლოში.

— აქ თითქმის არაფერი შეცვლილა, არ არის მხოლოდ ფიცრები გადებული. ხედავთ თეთრ ზოლს კედლებზე: ამ სიმაღლეზე მთელი საკანის ირგვლივ ფიცრები იყო გადებული.

გამოვდივართ. მიმიყვანეს მეორე საკანთან, ერთი პატარა ფანჯრით.

— აქ ქალები ისხდენ.

— 19 სექტემბერის ღამეს,—განაგრძო ჩემმა თანამგზავრმა,—რაზჩის თანხლებით მოვიდენ დაპატიმრებულებთან კუნი, ალანია, იაკოვლევი და სხვები და გამოუცხადეს, რომ ყველას, ქალებს გარდა, დაუყოვნებლივ ასხვადადში გაგზავნიან.

ამ დროს მატარებლები არ დადიოდა. დარაჯთა ქცევამ, გადაკრულმა ლაპარაკმა, კრასნოვოდსკის აღმასკომის წევრთა ყრუ პასუხებმა,—ყველაფერმა ამან დაპატიმრებულებს ინსტინქტურად აგრძნობინა რაღაც საშიშროება. ქალებს ნებაც კი არ მისცეს გამოსთხოვებოდენ ქმრებს, ამხანაგებს: ეტყობოდა, ჩქარობდენ. ჯგუფებად, 3—5 კაცი ერთად, მცველებშემორტყმული წაიყვანეს სადგურზე. ამ ყვითელი სახლიდან წაიყვანეს 17 კაცი, მათ შორის: შაუმიანი, ჯაფარიძე, ფიოლეტოვი, ზეკინი, ყორლანოვი, პეტროვი, ეზიზბეკოვი, პოლუხინი, ა. ბოგდანოვი, ვ. ბიროვი და გ. ბიშევი.

მე-207 ვერსზე, ახჩა-კუმის მახლობლად, პერევალის და ახჩა-კუმის სადგურებს შორია 15 ვერსის მანძილია. როგორ ვიპოვნო? სად უნდა ჩამოვხტე, რომ შეუფდგე შემდგომ ძებნას? ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი ცნობა, რომ დახვრეტის ადგილას მატარებლის ასაქცევი გა-

ალთული, სინამდვილეს არ შეეფერება. იყო ოდესღაც ბაქცევი, მაგრამ გაუქმდა, და ახლა მატარებლები პერ-ეალიდან ახჩა-კუიმამდის შეუჩერებლად მიდის. მირჩიეს: ე-207 ვერსზე ესახოვო მემანქანეს შეანელოს მატარებ-ლის სვლა და ამ დროს გადმოვხტე, შეეჩერდი ამ რჩევა-ზე და შეეუდექი ბარგის დალაგება-შეკვრას, ისე რომ ბარგმა ხელი არ შემიშალოს.

გრძლად გაჭიმული მატარებელი შორს მიიმალა, და მე პერევალის სადგურზე დავრჩი ორ რუსსა და რამდე-ნიმე მუშა თურქმენს შორის.

სტუმართმოყვარეობით მომიღო გზის ოსტატმა ამხ. პ. რომელმაც დამითმო არა მარტო თავისი ტახტი, არამედ ყველაფერი, რაც გააჩნდა, ლოგინიც კი. მოწყურებული „ახალი“ ხალხის ნახვას, კითხვას კითხვაზე მაყრიდა.

და, პირველ ყოვლისა, მკითხა ის, თუ რამ მომიყვანა ოქ. ვაძლევ ამომწურავ პასუხს.

— დიაღ... დიაღ... ერთ დროს ბევრნი მოდიოდენ... მახსოვს, თუ როგორ წაიღეს დახვრეტილი ნეშტები უკან ბაქოში.

საუბარმა თანდათან სისტემატური ხასიათი მიიღო. ჩემდა საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ ამხ. პ. ამ სადგურ-ში უკვე 12 წელიწადია მსახურობს. მეტიც—იგი შემთ-ხვევით „26“-ის ტრაგედიის ერთგვარი მოწმეც გამხდარა: 20 სექტემბერს დილით მოესმა, თურმე, სროლა, და მახ-ლობელი დარაჯის მიწვევით წასული დახვრეტილ-ებ-ს ... ილას.

— 19 სექტემბერს კიზილ-არვატის სახელოსნოებიდან კრასნოვოდსკისკენ გაიარა სპეციალურმა მატარებლებმა, რომელიც შედგებოდა სატუსაღო ვაგონის, სამგზავრო ვა-გონისა და ორი თუ სამი სათბურისაგან. ხაზზე კი აცნო-ბეს, კრასნოვოდსკიდან გაიელის განსაკუთრებული დანიშ-ნულების მატარებელი, გაჩერდება ასაქცევზე ორ-სამ საათს და შემდეგ კიზილ-არვატში წავაო... ჰოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მატარებლით ვიღაც მოიყვანეს და მოკლეს. შემდგომ ხმა გავარდა: ბაქოელი კომისრები და-ხვრიტესო.

— განა შეიძლებოდა,—შეეკითხე მე,—ეფიქრა კაცს, რომ სწორედ ამ მატარებლით გაატარეს კომისრები?

— რასაკვირველია, მატარებელი როგორღაც ქურდუ-ლად მოდიოდა, თითქოს ეშინიაო, მახსოვს, 19 სექტემ-ბერს ეს მატარებელი, კრასნოვოდსკში მიმავალი, ჩვენ სადგურზე გაჩერდა და წაგვიყვანა მე და მეორე მუშა გზის დასათვალიერებლად. საიდანაც, თურმე, ცნო-ბა მიუღიათ, პერევალს იქით გზა გაფუჭებულიაო. არავის ენდოპოდენ და ორთქლმავალზე მემანქანესთან ერთად იდგა თვით ფიოლეტოვი—კანტორის მოხელედ იყო კიზილ-არვატში, პატარა კაცი იყო. იქით აქე-დან თითო დიდი რევოლვერი ეკიდა. შემდგომ უკვე

ყველანი ამბობდენ, სწორედ მათ დახვრიტეს კომისრებია.

— არ იცით, ვინ იყვნენ კიდევ მათთან, როგორც ამ საქმის მეთაურნი?

— არა, არ ვიცი, ყველა არ დამინახავს. გამიგონია, რომ იყო მათთან კიდევ დიმიტრი, ახმახი და თავხედი კაცი, ვგარი არ ვიცი. ჰოდა, გავყევი იმათ, და მართლაც ერთ ადგილას, ლობესთან, ომბრხა ამოწეულიყო. შეგერდით. ომბრხა თავის ადგილას გავაკეთეთ. მატარებელი თავის გზას გაუდგა, ხოლო მე სადგურში დავბრუნდი.

— ნუთუ არ შეიძლებოდა როგორმე ამ საქმის ხელის შეშლა? ან დახვრეტის უმალვე ცნობის გაგზავნა ვისთანაც საჭირო იყო?

— რას ამბობთ, ყველას შიშის ზარი დასცეს, ყველას ნაბრძანები ჰქონდა—კრინტი არ დაძრათო. ჩვენ სადგურში უფროსად ბოლშევიკის მსგავსი კაცი იყო. როდესაც მან შემდგომ „ასხაბადეა“—იყო ასეთი გაზეთი—მიიღო და შიგ წაიკითხა: კომისრები ასხაბადში მოვიდენ და მალე შემდგომ გზას უნდა გაუდგენო, კინაღამ კედელს შეახეთქა თავი, ისე წუხდა, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. ერთი კი გვთხოვა—მიწა მიგვეყარა გვამებისათვის: სითბოსაგან გვამები დასიდა. რადგან გვამები ღრმად არ იყო ჩაფლული, ხან ფეხი გამოჩნდებოდა, ხან კიდევ ხელი. ღამღამობით ველზე ტურები დარბოდენ და გვამებს გლეჯდენ. ჩვენც ავდექით და მივაყარეთ მიწა. სამსახური გვავალებდა გვეცნობებია ყველფერი, რაც ჩვენს უბანში მოხდებოდა, ვაცნობეთ, ვისაც საჭირო იყო, ამის შესახებაც, მაგრამ გვიბრძანეს—კრინტი არ დაძრათო. ლაპარაკი კი მართლა საშინი იყო. შემდგომ ორი დარაჯი დახვრეტის ადგილის მახლობლად მდებარე სადაროჯოებიდან სადღაც გაქრა. გამოირკვა, რომ მოეკლათ. ვინ მოკლა—დღემდის არავინ იცის, ფიქრობენ კი—„იმათ“ მოკლეს, რომ ნაკლები მოწმე დარჩენილიყო. ხოლო ერთი დარაჯი კინაღამ დახვრიტეს მაშინვე, იმ ადგილას: როდესაც სროლა გაიგონა, წავიდა იქითკენ, საიდანაც სროლა ისმოდა. ხედავს მატარებელს, რომელსაც მცველთა რაზმი არტყია. მიუახლოვდა. მაშინ ერთმა თურქმენმა, მცველთა რაზმიდან, დაუყვირა: საით მოდიხარო! დარაჯმა დაუწყო: უნდა ვიცოდე, რა ხდება ჩემს უბანშიო. თურქმენმა თოფი დაუმიზნა, მაგრამ მათი უფროსი ჩაერია რომელმაც უთხრა დარაჯს: ეს შენი საქმე არ არის. გასწი აქედანო, და ისიც წავიდა.

— დიდხანს იყო მატარებელი გაჩერებული იმ ადგილას?

— ასე, 10—11 საათამდის იდგა.

— ხომ არ გაგიგონიათ, ვისგან შედგებოდა მცველთა რაზმი?

— იყვნენ იქ რუსებიც, თურქმენებიც. მათვე დახვრიტეს. პატარა თოფები ჰქონდათ, ისეთი, როგორიც ცხენოსნებს აქვთ.

— საიდან იცით ეგ?

— იქ, სადაც დახვრიტეს, მსარები ეყარა, იქიდან ვიცი.

საუბარი სხვა საგანზე გადავიდა, ხოლო მალე სულაც შეწყდა—უნდა დაველოდოთ, [illegible] დახვრეტის ადგილზე ვიყავით წასასვლელად.

ღრუბლიანი დღეა. სასწრაფოდ ვსაუზმობთ. ვაგონები უკვე ლიანდაგზეა. ვაწყობთ ზედ ყველაფერს, რაც საჭიროა, და მივდივართ... და ყველანი ერთსა და იმავეზე ვფიქრობთ...

ყოველი გაელილი ვერსის შემდეგ ქვეშანი გორაკების სიმაღლე უფრო იზრდება...

— ახლა ახლოა,—ამბობს გზის მაჩვენებელი,—ხედავთ აი იმ გორაკებს მარცხნივ? იქ არის.

თვალს ვაშტერებ მზის სხივებით გაცოცხლებულ, თანდათან მოახლოვებულ რუხ-ყვითელ გორაკებს.

— შეჩერდით!

გავიარეთ 207 ვერსი და ორი სატელეგრაფო ბოძი, მაშასადამე, 207 ვერსზე და 72 საჟენზე ვართ.

— აი, აქ ვაჩერდა მატარებელი, როგორც დარაჯი ამბობდა.

ამ ადგილას ვაგონები გადავიტანეთ ლიანდაგიდან და ყველანი ავედით ამონათხარის ფერდობზე. გზის მაჩვენებელს ვსთხოვე—წასულიყო იმ ადგილებით, სადაც მაშინ კვალი იყო. მიდის წინ, ჩვენ მივსდევთ, და ქვიშაზე გარკვევით აისახა ჩვენი კვალი.

— მაშინ ასე იყო, კვალი ცოტა განზე მიდიოდა, შემდეგ კი პირდაპირ.

ნაბიჯ-ნაბიჯ აღვადგინეთ „26“-ის წამების გზა და ბოლოს სულგანაბულნი გაეჩერდით უკანასკნელ საზღვართან, უღელტეხილის კიდურთან, იმ უღელტეხილის, რომელზეც ამწკრივებდენ 8—9 კაცს და ხვრეტდენ. ქვემოთ ორმოა--17 საძმო საფლავი.

აქ 17 კაცი იყო ჩაფლული.

ეს პირველი და მესამე ჯგუფებია. მეორე ჯგუფი ამ ადგილიდან ცოტა მოშორებით დახვრიტეს. როგორც ჩვენებიდან ჩანს, მეორე ჯგუფმა ისარგებლა გორაკებიანი ადგილით და სცადა გაქცევა, იმედოვნებდენ—სროლის დროს ბორკეტებს ამოჭფარებოდენ და ველში გადამალულიყვენ. მაგრამ ჯალათებმა ამის საშუალება არ მისცეს თავის მსხვერპლებს. ყველაზე მეტად გადარჩენის იმედი ერთს ასულდგმულებდა. ვინ იყო იგი—არავინ იცის, მან დახვრეტის საერთო ადგილიდან ასიოდე საჟენის გარეშე მოახერხა, მერე გამოასალმეს სიცოცხლეს. დანარჩენი გაქცეულები უფრო ახლო დახვრიტეს: ხუთი-ათი საჟენის მანძილზე, ორ-ორი, სამ-სამი კაცი ერთად...

სულგანაბული გადავდივართ ერთი ადგილიდან მეორეზე, გონების თვალით ვცდილობთ აღვადგინოთ 20 სეკტემბრის ტრაგიკული დილა.

დავეშვით საერთო საფლავისაკენ.

დღემდის გარკვევით ემჩნევა საფლავის ნაპირები, ხოლო ზოგან, ქარისაგან გადაგვილ ადგილებში, გათეთრებული ძვლებიც შეგვხვედა.

მოვაგროვეთ ძვლები და ჩავფალეთ მიწაში.

პ. ჩიჩკანოვი.

# პიონერის მოთხრობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეყოფილვარ მაშინ პატარა,
მესმოდა მშობლის ნანა,
მიამბეს—როგორ ვატარეთ
ჩვენ მენშევიზმის ხანა.
და რაც მომითხრო დედამ,
მე ეს მოთხრობა მზრდიდა:
თუ კომუნიზმის მხედარმა
ხუნდები რისთვის ზიდა...
ეკრა ქვეყანას ცა ბნელი,
ტანჯავდენ მტარვალნი ურჩებს.
ქარი, ჩრდილოდან ნაბერი,
ჯანყით ავსებდა ქუჩებს!
და ქუჩა ასე ზრდიდა
ძალებს ბრძოლებში უჩვეულს,
როცა ქუხილი გზიდან
ჰქონდა ზარბაზნის ტუჩებს.
ასე იმატა ხანძარმა
და აბრწყინვებდა ტრამალს,
აღმოსავლეთმა ინათა,
ამით დასრულდა დრამა.
წითელ დროშების ტევრებით
ააფრიალდეს ქუჩა,
მას შეხვდა გაწვდილ ხელებით,
ვინც სიკვდილს გადაურჩა.
მოკვდა მრავალი გმირი და
დროშებს გააკრეს შავები,
ხალხი საფლავთან მივიდა
მღელვარე ამოძრავებით.
მოკვდა მამა, და მიზანი
ახლა ჩემს გულში მარხია,
როცა ცხოვრება ვიცანი,
მეც ასე განმიზრახია:
ვიყო შრომაში დამკვრელი,
მცოდნე ლენინის საქმისა,
ჯანით და ღონით მაგარი,
ველზე დამწთები ნაღმისა,
ვიყო საქმეში საქები,
ერთგული მშრომელ ხალხისა,
მწამდეს იმ გმირთა სახელი,
ვინც ხალხს სინათლე აღირსა.
თექვსმეტი წელი გადადის,
რაც ჩრდილოეთმა ინათა,
ქვეყნად არ ვიყავ მანამდის,
არსად ვცხოვრობდი ბინათა!
მშრომელთა გულის ფიცარი
გამარჯვებათა არხია,
მოკლეს მამა, და მიზანი
გმირობის გულში მარხია.
მოკლეს მამა, და მტარვალებს
მოვკლავთ ხუთწლედის სახელით,
ჩვენში დამკვრელი გამრავლდეს
გმირობის გამომსახველი.
მოვა და ჩრდილად გვადგება
ომის საზარი ხსენება,
ქვეყანა ფეხზე დადგება,
თუ აღარ მოგვასვენებენ!
მტარვალნო, იცით, ვინცა ვართ,
თუ როგორ გეკვეთებიან?!
დავიცავთ გულის ფიცარით,
რაც შრომით გვიკეთებია!
კვდები, და მკვლელი ჩვენა ვართ,
მკვლელები მამის მკვლელისა,
ხარობს საბჭოთა ქვეყანა,
საბჭოთა მინდორ-ველისა!
ბარაქით ხარობს ქარხანა,
და კოლმეურნეც მღერისა!
მან მოსავალი გვახარა,
არ გვეშინია მტერისა!
გავშალოთ დროშა შეჯიბრის,
დროშა მეორე ხუთწლედის,
რომ მთლად დაიმსხვრეს მსოფლიო
კაპიტალიზმის ხუნდები!
მარქსის, ლენინის სახელი
არყევს მყვლეფელთა მხარესა,
აღდგეს ოქტომბრის საქმენი,
მოედოს არემარესა!
ლენინელები პატივით
გულში ჩაგვიკრას მასამა,
ქუხდეს სახელი პარტიის
და კომკავშირიც მათთანა!
ქალაქად ხარობს ქარხანა,
ველზე კომუნა მღერისა,
წლებმა მიდწევა გვახარა,
არ გვეშინია მტერისა!
კაპიტალიზმის მკვლელი ვართ,
მკვლელები მამის მკვლელისა,
ხარობს საბჭოთა ქვეყანა,
სიუხვე მინდორ-ველისა!

კალე ბობოხიძე.

# ეს კი არ ვიცოდი!

შემოდგომის თბილი დღე იყო.

ტფილისის მოჭალაქეთა ნაწილი ფუნიკულიორისაკენ მიეშურებოდა, რომ ზევიდან გადმოეხედა ქალაქისათვის, დამტკბარიყო თვალწინ გადაშლილი სურათით, ეგრძნო სუფთა ჰაერის გემო და ძალა.

ფუნიკულიორის ვაგონებს დაუზარებლად აყავ-ჩამოყავდა ხალხი.

აი, თავისუფლების მოედნიდან მოვიდა მერვე ნომერი და თან მოიტანა სიცილ-ჭრიამული: ის სავსე იყო პიონერებით, რომელნიც მასწავლებელ სიკოს მიჰყავდა ფუნიკულიორზე გასასეირნებლად და საბაასოდ: დღეს ხომ დასვენების დღე იყო, და სურდათ ჯეროვნად გამოეყენებიათ ის.

გადმოვიდენ, და ახლა ფუნიკულიორის ქვედა სადგურში წმეიდად მოლოდინე ვაგონში შეიტანეს აურზაური. გაისმა ზარის ხმა, და დაიძრა ვაგონი.

ზოგიერთნი ფეხზე იდგენ უკანა ბაქანში და მათ თვალწინ იშლებოდა ახალ-ახალი სურათები, ტფილისი იზრდებოდა, ფართოვდებოდა, უფრო და უფრო თვალწარმტაცი ხდებოდა... ზევიდან მათკენ ეშვებოდა მეორე ვაგონი, რომელმაც გვერდით ჩაუარა პიონერებს, ჭრიამულით რომ შეეხვდენ მას. ვასიკო მარცხნივ გადაყუდებულიყო და ჩასჩერებოდა ფერდობს, რომლის თხემზეც მისრიალებდა ვაგონი.

— ვაი, დედა, ერთიც ენახოთ და გადაბრუნდეს, მაშინ რა გვეშველება!—თქვა ერთმა.

— არიქა, ვასიკო, აქეთ წამოდი, არ გადაყანთრო, ბიჭო! — შესძახა დაუდგრომელმა ირამ, რომელსაც გასახელებლად დოკენტს ეძახდენ, და პიონერები სიცილით ეკენ ვასიკოს. ამასობაში ავიდენ კიდეც...

* *
*

ფუნიკულიორის ზედა სადგურის წინ გრძელ სკამებზე სხედან მასწავლებელი სიკო და რამდენიმე პიონერი, სხვები მათ ირგვლივ არიან, ბაასობენ, ძირს კი თვალწარმტაცად გადაშლილა ტფილისი, მტკვარი ნაცრისფერი გველივით დაკლაკნილა და მარჯვნივ, შორს, გარს შემორტყმია მწვანედ მოელვარე ორთაჭალას.

— აი, იქით არის კახეთი! ნეტავი ახლა ჩემ სოფელში ვიყოთ, მასწავლებელო! იმდენ ყურძენს ვჭამდით, რომ... უჰ!—თქვა ილომ და ხელი გაიშვირა.

ზარის ხმა მოესმათ, მერე მათ ქვეშ გვირაბიდან გამოძვრა ვაგონი და ნელნელა დაეშვა, ქვეეიდან კი ამავე დროს ამოყო თავი მეორემ.

— აუ, რანაირი აღმართია! — წამოძახა ზუზამ.

— ფეხით უნდა ამოხვიდე და კარგ დროს გაატარებ, უპასუხა ნუცამ.

— აბა, თუ იცით, ბავშვებო, რატომ ვიღლებით აღმართის ავლის დროს? — ჰკითხა მასწავლებელმა პიონერებს.

— აღმართია და იმიტომ!

— ყოჩაღ, ბიჭო! შენ სწორედ მაგას გეკითხებიან, სად მართში ასვლისას რატომ ვიღლებითო! — სიცილი დააყარა მთქმელს ცირამ.

— აბა ვინ იტყვის? — და სიკომ გადახედა ბავშვებს, რომლებიც თვალებს აცეცებდენ, მაგრამ ამ კითხვაზე, რომელიც პირველად ძალიან მარტივი და ადვილი ეგონათ, პასუხის გაცემას ვერ ახერხებდენ.

— ჰო, ასეა, ბავშვებო. ზოგი რამ ხანდახან ძალიან უბრალო გვგონია, მაგრამ ახსნაზე რომ მიდგება საქმე, მაშინ კი...

— გვითხარით, გვითხარით, მასწავლებელო!

— კარგი, მისმინეთ. როდესაც აღმართში ავდივართ, ზევით აგვაქვს ჩვენი სხეულის მთელი სიმძიმე. ჩვენ მაშინ ვებრძვით მიწის მიმზიდველობის ძალას, რაც დიდ ენერგიას მოითხოვს...

— მე გული მიძგერს ხოლმე, როდესაც აღმართში ავდივარ, — წყნარად თქვა ნელიმ.

— ოჰოჰო, ამან კი არ თქვა კიდეე! გული სულ მუშაობს შეუსვენებლივ და აღმართში რომ დაიღალოს, რა გასაკვირია! — მოუჭრა სიტყვა კაკომ.

— აი, ესეც საინტერესოა, — განაგრძო მასწავლებელმა. — მართლა არასოდეს არ ისვენებს გული?

— ხა, ხა, ხა! მასწავლებელო, გულმა რომ დაისვენოს, ხომ უნდა გაჩერდეს! გული რომ გაჩერდეს, ხომ მოვკვდებით!

— მაშ, თქვენი აზრით, გულს „გამოსასვლელი დღეები“ არა აქვს, ხო? არ ისვენებს, არა?

— არ ისვენებს, არ ისვენებს!

— დამკვრელია, დამკვრელი!

სიკომ ხელის აწევით მოითხოვა სიჩუმე.

— ცდებით. გული ისვენებს, მასაც აუცილებლად სპირდება დასვენება.

— მასწავლებელ-?! — გაისმა აქეთ-იქიდან გაკვირვებული ხმები.

— ნუ გიკვირთ, ბავშვებო, გული იკუმშება ხოლმე. აი, დააკვირდით, — და მარჯვენა ხელის ცერი მარცხენა ხელის მაჯას დაადება. მას ყველამ მიჰბაძა.

— ხომ გრძნობთ მაჯისცემას, ე. ი. გულის ძგერას, გულის ხანგამოშვებით შეკუმშვას?

— დიახ, მასწავლებელო, დიახ!

— გულის შეკუმშვას გულის კუნთი აწარმოებს. ეს კუნთი დაახლოვებით $^1/_{10}$ წამამდის უნდება გულის შეკუმშვას, შემდეგი შეკუმშვა კი $^8/_{10}$ წამის შემდეგ ხდება, და და ამ პერიოდის, ე. ი. $^7/_8$-ის განმავლობაში გულის კუნთი ისვენებს. მაშ, როგორც ხედავთ, გულსაც ჰქონია „გამოსასვლელი წამები“.

— ეს კი არ ვიცოდი! — წამოიყვირა კოტემ.

— ჰო, სხვა ყველაფერი იცი და ეს გაკლდა მხოლოდ! ვაი, ისეც რა გითხრა, კოტე! — დააყარეს სიცილი ამ ხანაგებმა.

— მაჯა რად გაგისინჯა ექიმმა, მზია, ავად რომ იყავი? — მიმართა მასწავლებელმა.

— უნდოდა გიგო, სიცხე ხომ არ მქონდა.

— მერე, სად მაჯა და სად სიცხე? რატომ შუბლზე არ დაგადო ხელი, ან ლოყაზე? აბა ვინ იტყვის?

ყველანი დუმდენ.

— ამასაც მე გეტყვით. მას სურს გაიგოს, ჩქარა ძეერს გული თუ ნელა. რაც უფრო ჩქარია მაჯისცემა, მით უფრო მეტი სიცხე აქვს ადამიანს. გული ძალიან მგრძნობიარეა, და როდესაც რაიმე ავადმყოფობა შეექნება ადამიანს, გული ნორმაზე უფრო ჩქარა ან ნელა ძეკრს.

— უჰ, ეს კი არ ვიცოდი, კოტეგ კი იცოდა!

წამოიძახა ირამ, და გაისმა საერთო ხარხარი.

— რას უშრობ, ბიჭო, კოტეს სისხლს, მოეშვი, რა იქნება! — თქვა კარომ.

— სისხლი მაგას ფოთის კოლოგმა გაუშრეს, მე რაღა დამატოვეს გასაშრობად, — წამსვე მიახალა ირამ.

— აბა, ვასოს მამას სულ აღარ უნდა ჰქონდეს სისხლი: თავი რომ გაიტეხა, იმდენი სისხლი წამოუვიდა, რომ სულ ღვარივით მოსდიოდა.

— არა, ბიჭო, ღვარივით კი არა, მტკვარივით მოსდიოდა, მტკვარივით! სადა აქვს, ბიჭო, ადამიანს იმდენი სისხლი, რომ მტკვარივით დანატყტარივით წამოუვიდეს!

— შენისთანა გაჩხიკინებულს არა აქვს. მეც ვიცი, ვასიკოს მამას კი აქვს.

— მაინც, რამდენი ლიტრი სისხლი ექნება ადამიანს, შენი აზრით, ვალიკო? — შეეკითხა მასწავლებელი.

ვალიკო გაილურსა, სხვებიც გაუუზდენ.

— აი, ხედავთ! თქვენ კი ახლა ისეთ ამბავში იყავით, თითქოს ყველამ იცოდით. სისხლის რაოდენობა ორგანიზმზეა და საშუალოდ კი ადამიანს 5 ლიტრამდის სისხლი აქვს.

— ჰო, მეც გგ მინდოდა მეთქვა, მასწავლებელო! — ეშმაკურად თქვა ირამ.

— აბა, აბა, მასწავლებელო, რატომ დაასწარით, სწორედ ეგ უნდა ეთქვა ჩვენს დოკენტს, ისევე რა ვუთხრა აგას!

ამ დროს რეზომ დაიცინა.

— აჰა, ცხვრმაც ხომ დაამოწმა! თქვენ რომ არ გეთქვათ, ირა ატყოდა.

— მეც! მეც! — არ ისვენებდა რეზოს ცხვირი.

— დადექ, რაღა, ციხეკვების ხუთწლედის მოთავებას ხომ არ აპირებ ამ დასვენების დღეს!

— მეც! — ერთხელ კიდევ ინება დაციხეკვება რეზოს ცხვირმა.

— წითელ დაფაზე, წითელ დაფაზე გაეკარით დამკვრელი ცხვირი!

— ფეხები კი შავ დაფაზე, კლასში მოსვლის დიდი ტემპებისათვის!

ისმოდა ცელქი ახალგაზრდების ხმები.

— ბავშვებო! რატომ აციხეკვეს რეზო, აბა ახლა ესა თქვით, — მიმართა მათ მასწავლებელმა.

— შემოდგომის ბუზებს იგერიებს, ჩემ ნესტორეზში ღამე არ გაათიონო, მასწავლებელო!

— ეს კი არ ვიცოდი, თუ მისი ცხვირი ბუზების სასტუმრო იყო! — გადიკვლისა ლელომ.

— აბა თქვით, თქვით, რას ნიშნავს ციხეკვება? — არ ეშვებოდა მათ მასწავლებელი. — ვერ ამბობთ, ხომ? ცხვირი ძალიან საჭირო ორგანოა. ის დარაჯივით დგას და მუდამ ყნოსავს. თუ ცუდსუნიანი რამ მიიტანა ხელმა პირთან, ცხვირი იმ წამსვე ტვინს შეატყობინებს: — აიჩქა, ცუდი რაღაცას შეეშმას აპირებს პირიო, და ტვინი პირს უბრძანებს — არ შეეშმოო. გარდა ამისა, ცხვირნაზალია, რომელიც მტვერს იკერს, ფილტვებისაკენ, სასუნთქი ორგანოებისაკენ არ უშვებს. თუ ცხვირში მოხვდა რაიმე გარეშე სხეული, ის გააღიზიანებს ცხვირის ღრუს ნერვებს, რომელნიც ამ გაღიზიანებას გადასცემენ თავის ტვინის ცენტრს, ის კი განაგებს გულის ყაფაზის კუნთების მოძრაობას. ეს ცენტრი ამოძრავებს კუნთებს, რაც იწვევს ციხეკვებას, და ამით განიდევნება ცხვირიდან გარეშე სხეული. მაშ, როგორც ხედავთ, ციხეკვება, ასე ვთქვათ, „თოფის სროლაა", რითაც ცხვირი იგერიებს შემოჭრილ მტერს.

— ვაჰ! ეს კი მართლა არ ვიცოდი! — ახლა კი უკვე სერიოზულად თქვა ერთმა პიონერმა.

ერთხანს კიდევ იბაასეს, იმხიარულეს, დატკბენ მათ ფეხთა ქვეშ განართხული ქალაქის მზერით, ხან რა ჰკითხეს მასწავლებელს, ხან რა, შემდეგ კი წამოიშალნენ და საცალფეხო გზით დაეშვენ ფუნიკულიორის ქვედა სადგურისაკენ, სადაც ადამიანები სასაცილოდ პატარა მოჩანდენ და უცნაურად მოძრაობდენ. მასწავლებელი სიკო დატყვევებულიეთ მიყავდათ, ისე შემოსეოდენ ირგვლივ, რეზო კი ვერ ისვენებდა და ხან რას წაიცელქებდა, ხან რას.

— მასწავლებელო! იცით, რატომ ჰქვია ირას დოკენტი? — ჰკითხა მან სიკოს. — იმიტომ, რომ ათნახევარი წიგნი აქვს წაკითხული.

— ხა, ხა, ხა! — გაისმა პიონერებში, და სიკომ დაამატა:

— ეს კი მართლა არ ვიცოდი!

სიხარულით აღსავსე ბრუნდებოდენ პიონერები, შემოდგომის თბილი დღე დასაქეროდა ტფილისს.

შ. თაბ — ლი.

---

## პიონერებო! ხშირად მოაწყვეთ ექსკურსიები გუნებების ნიალში!

# როგორ მუშაობს ტფილისის 1-ლი საცდელ-საჩვენებელი პოლიტექნიკური ათწლედის პიონერორგაზა.

ტფილისის 1-ლ პოლიტექნიკურ ათწლედში მეცადინეობა დაიწყო, გამომუშავებულ იქნა გაკვეთილების მტკიცე ცხრილი, და მეცადინეობას პირველ დღესვე ნორმალური ხასიათი მიეცა, მაგრამ აღნიშნული სასწავლებლის პიონერორგანიზაცია ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. იქ პიონერორგანიზაციას სასკოლო ერთობიერის დროს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია წლის დასაწყისის სამზადისის ჩასატარებლად. ბაზის კრებაზე არ დამუშავებულა ეს საკითხი, და ბავშთა მასებიც ვერ შეხვდენ დარაზმული სასწავლო წელს. სკოლაში მესამე გაკვეთილის შემდეგ შემოღებულია დიდი დასვენება, რომელიც 20 წუთი გრძელდება, მაგრამ ეს დრო არ არის გამოყენებული რაციონალურად და მარტო საუზმობისათვის იყენებენ.

პიონერორგანიზაციას ჯერაც არ უზრუნია იმისათვის, რომ დიდი დასვენება გამოყენებულ იქნას ორგანიზაციულად, ბავშთა კოლექტიურ თამაშობათათვის, ტფილისის სხვა სკოლებში კი ეს საკითხი უკვე მოგვარებულია.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მოისუსტების პიონერორგანიზაციის ბრძოლა სწავლების თვისებისათვის. ბაზის ხელმძღვანელმა არ იცის, თუ რომელმა პიონერმა რამდენი დღე გააცდინა, რამდენი შენიშვნა მიიღო მასწავლებლისაგან და რა იყო მიზეზი.

პიონერი თედო ჟორჟოლიანი სისტემატურად აცდენდა გაკვეთილებს და უდისციპლინობისათვის სკოლიდან დათხოვნილ იქნა ადმინისტრაციის მიერ, პიონერორგანიზაციას კი ეს საკითხი მოწოფეთა მასაში არ დაუმუშავებია.

### სწავლების დამკვრელნი.

პიონერები შალვა სალარიძე, ირაკლი ხაბურზანია, ლოლუა, კაპანაძე, მარო აბაშიძე, თამაზ ბერიძე და ტატა ჯაფარიძე სამაგალითოდ სწავლობენ.

ტატა ჯაფარიძე ტფ. მე-18 საფ.-საქ. შვიდწლედის ყოფილი მოწაფეა, იგი სამაგალითო პიონერი იყო, ყველა ჯგუფს წარმატებით ამთავრებდა; მისი მოწაფეობა არაჩვეულებრივი ენერგიით ხასიათდებოდა, ყველგან და ყოველთვის მისი ხალისიანი მოწოდების ხმა ისმოდა, ის იყო მოწაფეთა თვითმართველობის თავმჯდომარე.

მას დღეს ვხედავთ 1-ლ პოლიტექნიკურ ათწლედში სიცოცხლით სავსე ოქტომბრელთა ხელმძღვანელის როლში.

იგი სკოლის ნამდვილი დამკვრელია. მას უნდა იცნობდეს ყველა და მას უნდა მიბაძოს ყველა პიონერმა.

მაგრამ სამარცხვინოა, რომ პიონერკოლექტივი ხეირიანად არ იცნობს სწავლის დამკვრელებს, ვერ არის მათთან დაახლოებული.

ჩვენს პიონერორგანიზაციას მრავალი ნაკლი აქვს,— აღნიშნავს ბაზის ხელმძღვანელი ამბ. თამარ ბუიღრიშვილი.—მაგრამ ამას მოკლე ხანში გამოვასწორებთ,—ამთავრებს ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანი ამხ. ვ. მეტრეველი.

ისინი მორიგებეობით მოგვითხრობენ, რომ მათ დღეს უჯრედის კრებაზე უნდა დაამუშაონ საკითხი რუსული ენის სწავლების შესახებ. აპირებენ რუსული ენის შემსწავლელი წრის დაარსებას.

მომავალში მიზნად აქვთ დასახული სოცშეჯიბრისა და დამკვრელობის გაშლით მოსპონ სწავლების დარგში ჩამორჩენა, მოახდინონ სკოლაში პიონერთა დასწრების ზუსტი აღრიცხვა, დიდი დასვენება გამოიყენონ ორგანიზაციული კოლექტიური თამაშობის მოსაწყობად და სხ.

**მარო კობახიძე.**

# პიონერები საშემოდგომო თესვის ფრონტზე.

თელავის ბ. კ. ო. რაიბიურომ დროულად გაშალა მუშაობა საშემოდგომო თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად. პიონერთა მოღვაწეობისათვის თელავის ბ. კ. ო. რაიბიურომ ჩაატარა თავისი აქტივის მობილიზაცია რაიონში წასასვლელად. ყველა პიონერრაზმთან „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფები დარაზმულია საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის.

პიონერთა ორკანიზაციის აქტიური დახმარებით ყველა სკოლასთან დამუშავდა სასკოლო ნაკვეთები. ისინი ამ საქმისათვის ენერგიულად იბრძვიან.

საშემოდგომო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მოწყობილია თესლის შესაწამლი პუნქტები. აქ პიონერები სისტემატურად წამლავენ თესლს მორიგეობით და ასე ეხმარებიან კოლმეურნე გლეხობას. პიონერების მიერ შეწამლულია 100 ფუთი ხორბალი. ისინი ზზრად უკითხავენ გლეხობას გაზეთს. საშემოდგომო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით პიონერების მიერ მოწყობილ იქნა სალამო-წარმოდგენები წინანდალში, ხოდაშენში, ჯოყოლაში, ნაფარეულში და ახმეტაში.

თელავის ბ. კ. ო. რაიბიურომ საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმების შესასრულებლად და მასში პიონერთა ორგანიზაციის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სოცშეჯიბრებაში გამოიწვია გურჯაანის ბ. კ. ო. რაიბიურო.

**შ. ზაბიკაშვილი.**

## სკოლაში დაბრუნება.

სუფთა დილა, მკვირცხლი დილა,
რა ლამაზად მოჩანს მთები!
რა გარკვევით ისმის ზარის
პირველი და მკვეთრი ხმები!
ფხიზელია სკოლის ეზო,
აღტაცებით გვიმღერს გული.
სმენას ატკბობს, თვალს ახარებს
მოწაფეთა ჟრიამული.
სიცილი და თამაში გვაქვს,
ჩაცმული ვართ ყველა სუფთად.
თამამია ჩვენი სახე,
თამამია ჩვენი სუნთქვა.
ვლაპარაკობთ ძველს და ახალს,
დასვენების ამბებს ვყვებით...
მაინც როგორ აქტივობენ
ეს ცქრიალა გოგონები!
გაიხარეთ, მეგობრებო,
აღტაცება ასე უნდა.
ხალისი და მკვირცხლი გავლა
საპიროა გვქონდეს მუდამ.
გვხიბლავს, რაღაც, სკოლის სახე,
ოთახების გრძელი რიგი,
მასწავლებლის პირველი ხმა,
მერხები და გაშლა წიგნის.
არემარეს, ჭერს თუ ფანჯრებს
განახლების სუნი უდის.
უნებლიედ ვფიქრობთ: ვინმემ
არ დავუშვათ რამე ცუდი.
სად წავიდა, რამ დაღუპა
მოწყენა და ჩუმი დარდი!
მაინც გულში ეს ხალისი
ასე მკვეთრად როგორ დადის!
ნათელია არემარე,
მოქმედების ყველა წუთი.
სირცხვილია, მართლაც, ვინმემ
რომ დავუშვათ რამე ცუდი!
ზაფხულს გავცდით. თვე აგრილდა.
დრო ცოდნისთვის გეგმას გვიწერს.
ჩვენც, მშრომელი მოზარდები,
მონდომებით სწავლას ვიწყებთ.
გვქონდეს მუდამ ეს ხალისი
ამ პირველი მოსვლის დღიდან,
წესრიგი და ბეჯითობა,—
ზარმაცობა კი არ გვინდა!
სუფთა დილა, მკვირცხლი დილა,
რა ლამაზად მოჩანს მთები!
რა გარკვევით ისმის ზარის
წკრიალა და მკვეთრი ხმები!

გიორგი კაპანაძე.

## ინტერნაციონალიზმის დროშით.

ეი, მებარაბნევ, დაჰკარი ძლიერად!
სიყვარი, ზეიმი აცნობე ათასებს,
დღეს ჩვენი რიგები სოფლებს და ქალაქებს
მხნე პიონერული ხალისით გაავსებს!
მოვდიგართ მესამე ცვლა ბოლშევიკური,
სხვადასხვა ერების მშრომელთა შვილები,
ერთი გვაქვს საერთო სწრაფვა და მიზნები,
ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ ვიზრდებით.
დღესაც ხომ გმირული პატაკით მოვდივართ,
ისმინეთ: ვიზრდებით ცოდნით და გმირობით!
შეხედეთ ჩვენს რიგებს: ოკეანეს მოჰგავს,
ციურების პლაკატით გმირულად წინ მოდის.
შეხედეთ სასწავლო ფრონტის ნორჩ დამკვრელებს,
მამაცურ სახეებს მხიარულ თვალებით,
მათ გული უფეთქავს ახალი ცხოვრებით,
მათ გული უფეთქავს ახალი განცდებით.
„იყავ მზად“-მოისმის ხმები ტრიბუნიდან,
პასუხიც ბაგეებს მოსწყდებათ სისწრაფით:
„დავიცავთ მსოფლიოს მშრომელთა ინტერესს,
თუ კი საჭიროა,- ფრონტებზე ვისწრაფვით!
ჩაგრული ძმებისკენაც გვიჭირავს თვალება,
გუშინწინ მივიღეთ იმათგან წერილი,
მივიღეთ ამბავი ცუდი და საწყენი,
წერილი მებრძოლის სისხლით დაწერილი.

გვწერენ:
„ფაშისტურ ტერორ.ის
თავს რისხვა გვადგ.ა,
მოგვიკლეს მამები,
დავდიგართ ქუჩებში,
მშიერნი, მწყურვალე ჩვენ ბინას დავეძებთ
ღამის გასათევად
მუშათა უბნებში!
მივიღეთ, ძვირფასნო,
ფული და წერილი,
ვიგრძენით ბრძოლისთვის
სითბო და ხალისი,
გვჯერა, რომ ჯალათებს
ჩვენ ჩქარა დავახრჩობთ,
არ ვაკარგავთ იმედებს
ხალინიდელ ბრძოლისთვის!“
ეს დღეს ჩვენ მივიღეთ უცხოელ ძმებისგან,
ჩვენც ისევ სასწრაფოდ თბილ ხელებს გავუწვდით.
იცოდე, ევროპავ,
ხვალე შენ დაგწვავენ,
დღეს რომ მილიონებს ბინები დაუწვი!
მაშ ისევ მებრძოლი დაჭექეთ სიმღერა,
ეი, მებარაბნევ, დაჰკარი ბარაბანს,
ჩვენ ცრემლი არ ვიცით,
ვიბრძვით და ვიმარჯვებთ,
დაბალი იდეის მონები არა ვართ!

მიხეილ ებრალიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯუმგეარ.

**მოქმედება მესამე.**

(სუფთა ოთახში ტახტზე ფანჯარასთან წევს ვასო).

**ვასო.** დედა!

**მარო** (შემოდის). რა იყო, გენაცვალოს დედა?

**ვასო.** რა თქვა, დედა, მალე ავდგები?

**მარო.** მალე ადგები, შვილო, მხოლოდ მკლავის მოჭრაობა არ შეიძლება... ჭრილობა უნდა გამრთელდეს!

**ვასო.** ეს ოხერი, როგორ გაჭიანურდა!

**მარო.** მოგიკვდეს დედა, შვილო. დანა შხამიანი ყოფილა, საქმე იმან გაართულა... ჭრილობა გტკივა, გენაცვალე?

**ვასო.** არა, დედა, მომეშვა... ჩირქი ბევრი ამოვიდა?

**მარო.** ბევრი... ვერაფერს ატყობ, შვილო, სიცხეს არ დგიკლო?

**ვასო.** ჰო, დედა, რაღაც ხალისს ვგრძნობ სხეულში!

**მარო.** ეგ ჩირქის ამოწმენდის შემდეგ! შენ კი ბრაზობდი. როგორ შეიძლება, გენაცვალე, ექიმს არ გადეგონო!

**ვასო.** მტკიოდა, დედა, მტკიოდა!

**მარო.** მოგიკვდეს დედა, რომ ასე დაიტანჯე!

(ვასომ ოდნავ გამოაღო ფანჯარა)

**დედა.** ნუ, შვილო, ნუ, შეგცივა!

**ვასო.** ოჰ, რა გრილი სიოა, რა ლამაზი დღეა, დედა! მერე, როგორ მიყვარს გაზაფხულის მზიანი დღე! იყოს, დედა, იყოს! ცოტა ხანს იყოს... ნეტავი ახლა ფეხზე მენა და ამ გრილ ჰაერში რამდენჯერმე გამაქცია და გამოსაქცია! უჰ, როგორ გავცოცხლდი! ასე მგონია, აღარაფერი მტკივა!

**მარო.** ყველაფერი დაგნატრულდა, შენ გენაცვალოს დედა! რომ გეუბნები, დაფიქრებულად უნდა მოიქცე, სხვის საქმეში არ უნდა გაერიო მეთქი, რატომ არ გამიგონე? ახლა ხომ ლოგინში არ იწოლებოდი?

**ვასო.** ნუ, დედა, ნუ! მაგას ნუ მეუბნები!

**მარო.** რათა, შვილო, უფროსს უნდა გაუგონო!

**ვასო.** მე ყოველთვის ასეთი ვიქნები!

**მარო.** ეგ კი არ მომწონს, უნდა გამგონი შვილი მყავდე!

**ვასო.** არა, დედა, მე მხეცი ვერ გავხდები!

**მარო.** არ მესმის, შვილო, როგორ თუ მხეცი?

**ვასო.** იცი, დედა, მხეცები მარტო თავიანთ თავზე ფიქრობენ! არ დაკვირვებიხარ: ძაღლი საქმელით რომ გაძღეს და მეორე ძაღლი მშიერი ჭედებოდეს, მაინც არ დაანებებს. მშიერმა რომ წართმევა მოუნდომოს, მაძღარი, თუმცა აღარ უნდა, მაინც ზედ შეაკვდება... ასე იცის ყველა ნადირმა... ჩვენ კი კოლექტიურად უნდა გარდავქმნათ ქვეყანა და ახალი, ლამაზი სიცოცხლე შევქმნათ.

**მარო.** მაშ ეგ არის, შვილო, კარგი, სხვის მაგივრად რომ კინაღამ მოგკლეს?

**ვასო.** რათა სხვის მაგივრად? ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია დაღუპული ამხანაგის ხსნა!

**მარო.** მათი ხსნა სხვანაირად შეიძლება, გენაცვალოს დედა!

**ვასო.** იმ წუთში სხვა არ შეიძლებოდა... თავის განწირვა იყო საჭირო. პოინერი კი უნდა იყოს მამაცი, გამბედავი და თავგანწირული, უამისოდ ჩვენ ვერ განვახორციელებთ სოციალიზმის საქმეს, ვერ დავიცავთ მას!

**მარო.** დავხუროთ, გავცივდებით, ჩემო ჭკვიანო! (ჰკოცნის).

**ვასო.** იყოს, დედა, რა გამაციებს? საბანში ვარ შეფუთნილი. უჰ, როგორ მიამა ეს საღი ჰაერი!

**მარო.** შენ სხვისი გულისათვის თავი გაწირე, და სხვა კი სანახავადაც არ მოსულა!

**ვასო.** არა, დედა, მაგას ნუ იტყვი! მოსვლას ვერ ბედავს! ამხანაგებმა მითხრეს: თურმე, ჯუმბერი მოვა, აეკუდება ხეს, იყურება და, როცა დაიღლება, ჩუმად წავა!

**მარო.** რაც მოხდა, მოხდა ნეტავი იმას, ეშველოს!

**ვასო.** ეშველება, მე კი, არაფერია, სწავლაში მალე დავეწევი ამხანაგებს, ოღონდ ავდგე!

**მარო.** შენი ამხანაგები დღეს არ მოვლენ?

**ვასო.** რა რიცხვია, დედა, დღეს?

**მარო.** 1-ლი მაისი.

**ვასო.** დედა, მართლა? მაშ პირველმაისობა დღეს არის? ახლა ამხანაგები აღლუმზე არიან, მე კი... მე იმით გვეფიდთ უნდა გავყოლოდი, როგორც ბელადი... დედა, აღარ მინდა, დახურე, დედა. უჰ, ბედნიერები! (საბანი წაიხურა პირზე)

**მარო.** მოგიკვდეს, შვილო, დედა, რომ ყველაფერი დაუნატრულდა!

**ვასო.** ნეტავი მალე მაინც მოვიდენ! არა, დღეს დაიგვიანებენ, აღლუმზე იქნებიან! დედა, მეც მინდა იქ მეც!

**მარო.** დამშვიდდი, ჩემო იმედო, შენც ნახავ მერმის!

**ვასო.** ამხანაგები მაინც მოვიდენ მალე! იცი, დედა, ლოდინი აღარ შემიძლია, მოდი, ნანა იმღერე, იქნებ ჩამეძინოს. მე ისევ მახსოვს შენი ნანა! ოჰ, როგორ მიყვარს! დედა, იმღერე, რა! ნეტავი სიმღერაზე კარგი იქნება რამე!

**მარო.** შვილო, რა დროს ნანაა...

**ვასო.** უარი არ გამაგონო! აი, მე თვალებს დავხუჭავ!

(**მარო** მღერის დაბალი ხმით)

„დაიძინე, ჩემო კარგო,
გაბადრული მთვარე!
უმანკო და უცოდველო,
მუდამ მოელვარე.
ნანა, შვილო, ნანინა,
ნანა, გენაცვალე!
თუ ხვალ მტერმა გაიცინა,

მკლავი ასწი მედგრად,
დაე, ქორფავ, შენი რისხვა
გადაესხას ღველფად.
ნანა, შვილო, ნანინა!
კიდევ ნანა ერთხმად!
ცაში თუ მზე დაკაშკაშებს,
შენ საბანში ელავ,
და მე, დედა, შენს სიცოცხლეს
ვუდარაჯებ, ვზვერავ!
ნანა, შვილო, ნანინა,
ნანა, ნუღარ ღელავ! (წამოდგება)

დაეძინა.. ორი კვირაა ამ ტანჯვაშია.. კიდევ კარგი, დროით მიაშველეს ექიმი, თორემ მზე დამიბნელდებოდა! (ისმის კარების კაკუნი) ვინ არის, მობრძანდით!

**დედა** (შემოდის). დილა მშვიდობისა!

**ვასო.** იცოცხლეთ... დაბრძანდით!

**დედა.** ამ ბავშვების ტანჯვა აღარ მასვენებს... როგორ არის, გენაცვალე, ექიმი რას ამბობს?

**მარო.** დღეს უკეთ კარგად არის... თქვა, ნუღარაფრის შიში ნუ გაქვთო... ახლა ცოტა ჩაძინა, ბევრი ილაპარაკა...

**დედა.** ნეტავი ეს კეთილად მორჩეს და ჩემი შვილი მაინც დაუუპულია და დაღუპული!

**მარო.** როგორ, ქალო ხომ არაფერი დაგაშავ ა?

**დედა.** არ ვიცი, ლამის თავი მოვიკლა, რომ ატყვიან: მგლის თავზე სახარებას კითხულობდენო, სწორედ ასეა!

**მარო.** სკოლაში აღარ დადის?

**დედა.** დადის, მაგრამ სკოლიდან მოვა თუ არა, ცოტა კი შეეშამს და სადღაც გაქრება... ძილის დროს-ღა გამოჩნდება ხოლმე... არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, სამსახური დროს არ მაძლევს იმას ავყვე, ისე კი დამშმარე არავინ მყავს...

**მარო.** იმ ავარებს ხომ არ დასდევს?

**დედა.** ავარებიც და ბებერიც ციხეში არიან... იმათთან არა მგონია!

**მარო.** მართლა, საათის ძეწკვი იპოვე?

**დედა.** საათიც და ძეწკვიც, დაეპატიმრეს თუ არა, მაშინვე ჩამაბარეს. ჩემს ავარასაც აპატიმრებდენ, როგორც მათ ამყოლს, მაგრამ სკოლიდან კომკავშირელმა და პიონერებმა არ დაანებეს, ციხეში სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის მოყვება და უარესი დაემართებაო. მეც ბევრი ვეხვეწე მილიციას... ეს რომ მცოდნოდა, მაშინვე დაეპირათ და მოეშორებიათ, ის მერჩივნა (ტირის)

**მარო.** რაკი ისინი მოიშორეს, ახლა ნუღარ გეშინია, ქალო, სხვა დანაშაულიც ექნებათ იმათ, ალბათ, მაგრად ჩასვიდვენ ხელს!

**დედა.** დედაბერს ნაქურდალი ნივთები უპოვეს, ხატის ჩარჩოში ჩაეწყო... კონტრაბანდა... თამბაქო, ხორცი და არაყიც ბლომად აღმოაჩინეს... რა ვიცი, არა მგონია, ადვილად გადარჩენ!

**მარო.** ზედ ჩემი შვილის დაჭრაც დაუმატე, ეს ი

ოდინ, თქვენცა! ეფარებიან, მალე! რამდენი დროშაა, რამდენი ხალხია! ჰუ, მუშები, მუშები და კიდევ მუშები!

**მარო.** ნუ ღელავ, გენაცვალოს დედა! იარამ პირი არ ეხსნას!

**ვახო.** ფუი, რა ოხრობაა. ავადმყოფობა, თავისუფლად დანახვაც კი არ შეიძლება! მიეფარნენ... ხმაური ისმოდა. საცაა, ალბათ, ჩემი ამხანაგებიც მოვლენ დაა!

**მარო.** მოვლენ, შვილო, მოვლენ!

**ვახო.** აი, ჯუმბერიც რომ მოვიდეს, მაშინ თუგინდ ულ არ ეყოფილვარ ავად!

**დედ.** ჯუმბერი... ჯუმბერი... (ტირის)

**ვახო.** ნუ ტირი, დედო, ნუ! ის ყველას გვაჯობებს! (ერთი ფეხის ხმა, მხიარული ყიჟინაა: „ვასოსთან! ვასოსთან!)“.

**ვახო.** მოვიდენ, ისინი არიან, (შემორბიან ვალიკო, ნუცა, ნატა და სხვა მოწაფეები)

**ხმაური.** გამარჯობა, ვასო, გამარჯობა! როგორ ხარ?

**ვალიკო.** რა დროს ჩვეულებრივი გამარჯვებაა? აი როგორ უნდა: ამხანაგო ვასო, გილოცავ 1-ლ მაისობას! (ულოცავს)

**ხმაური.** ვაშა, ვალიკო, ვაშაა! (ყველანი სათითაოდ ულოცავენ, ჭკოცნიან).

**ვალიკო.** აბა, ეგეები არ იყოს, ქალებმაც მიულოცეთ! ეარ ისევ გოგოები ხართ, რას იპრანჭებით?

**ნუცა.** რატომ არა? (ულოცავს)

**ნატა.** მე რაღა, თქვენი ამხანაგი არა ვარ? (ულოცავს, ჭკოცნის)

**ნუცა.** რაკი შენ გაბედე, ახლა კი ქვეყანა გადაბრუნდება და კომუნიზმი თავისით მოფრინდება.

(ყველანი იცინიან)

**ნატა.** რას იზამ, ქაჯან, იმ დღეს ისე შემაფუცხურეთ, რომ!

**ვახო.** რა მოხდა იმ დღეს?

**ნატა.** არაფერი... ჯუმბერს ცუდი ვაკაცრე და მთელი ჯგუფი დამესია!

**ვალიკო.** ისე ვახდეინეთ ბოდიში, რომ ლამის მუხლები დაგვიკოცნა!

**ვახო.** აი ყოჩაღ, კარგად გიქნიათ! აბა, ახლა მიამბეთ, რა ნახეთ, რა მოხდა...

**ყველა.** „მე ვიტყვი, მე!“ „შენს მაგივრად ნუცა გვიძღოდა“, „ჩვენ ახალ სიმღერას ვმღეროდით!“

**დედ.** ნეტარი თქვენს მშობლებს, შვილებო, ჩემი ჯუმბერი კი ვინ იცის სად არის დაკარგული?

**ნუცა.** მაპატიეთ... ჯუმბერი თქვენი შვილია?

**დედ.** ეჰ, არ არის საკვეხური, მაგრამ ჩემი შვილია!

**ნატა.** ხომ არ გიწყინათ, დედო, იმ დღეს შეურაცხყოფა მივაყენე... არ მინდოდა, დედა არ მომიკვდეს.

**დედ.** ის თქვენ ყველას გაყენებთ შეურაცხყოფას, რა ჯუმბერ, გენაცვალე, ნეტა ის კარგად მყავდეს!

**ნუცა.** რა იყო, დედო, კიდევ გაიფუჭა რამე?

**დედ.** აღარ ჩანს, მუდამდღე სადღაც მეკარგება! (ტირილ ამოუჯდა).

**ვახო.** მიეგბო, გოგოებო, ჯუმბერზე ნუ იწუხებთ, ეგ მრწამს და ჩემი რწმენა არ მიღალატებს, ის ჩვენია და ჩვენი! ჯერ ფეხზე ადგეს! ახლა კი რაღაც ახალი ვიცი. როდითო, იმღერეთ, დეიდო გაამბიარულეთ!.

**დედ.** იმღერეთ, იმხიარულეთ, შვილებო, მე ნუ მიყურებთ, ჩემს ტირს, როგორც იქნება, ავიტან!

**მარო.** იმღერეთ, მე კი ამასობაში ყავას მოგიმზადებთ!

**ნუცა.** იცი, ვასო, მასწავლებელიც მოვიდა შენს სანახავად!

**ვახო.** მართლა? სად არის!

**ნუცა.** ამ წუთში მოვა, სადღაც მიუხვია!

**ვახო.** დილიმე. მაშ დაიწყეთ. ისიც მოვა!

**ვალ.** რომელი გინდა: ჩვენ ორი ვიცით, ერთი საცეკვო, მეორე სასიარულო!

**ხმაური.** საცეკვაო, საცეკვაო!

**ვახო.** საცეკვაო იყოს!

**ნუცა.** მოეწყვეთ მარდად (ფერხულს აბამენ, ისმის კარების კაკუნი)

**მარო.** ვინ არის, მობრძანდით! (კარს აღებს).

**მასწავ.** (შემოდის) გამარჯობათ, გამარჯობათ, სად არის ჩვენი გმირი? ჰო, აი ისიც! არა უშავს ჩა, ცოცხლად იყურება! (მიდის, ხელს ართმევს, ჭკოცნის) როგორა ხარ, ვასო, ხომ არ მოგწყენია ლოგინში?

**ვახო.** არა, მასწავლებელო, მე მხოლოდ იმას ვეშუხვარ, რომ ფეხზე ვერ ადგიქით!

**მასწ.** ჰო, აი, თურმე, რა აწუხებს! (იცინის) ჩემო პატარავ, მაგისათვის ნუ შეწუხდები. აბა ახლა დედას ეკითხო: ხომ არ გაჯავრებთ, ავადმყოფმა ჟინიანობა იცის!

**მარო.** რას ბრძანებთ! პირიქით, მე მარიგებს ჯ�!

**მასწ.** არა, მართლა? (გულიანად იცინის, ყველანი იცინიან)

**ვახო.** ხუმრობს, მასწავლებელო, კი არ ვარიგებ, ზოგიერთ რამეს ეუხსნი!

**მასწ.** ვიცი, ვიცი, ჩემო ვასო, რაღა თქმა მინდა, კარგად გიცნობ! მაგრამ, მოიცა, თქვენ რად დგახართ ეგრე? ხომ არაფერს აპირებთ?

**ნუცა.** ვასოს გამხიარულება უნდოდა, ჩვენ ცეკვას ვაპირებდით!

**მასწ.** ჰოო? აბა რად შეწყვიტეთ? დღეს დღესასწაულია, იმღერეთ, იცეკვეთ, თქვენ რომ დაიღალოთ, მე მითხარით, მეც მოგიშველებთ.

**ყველანი.** მასწავლებელიც იცეკვებს, მასწავლებელიც!

**ნუცა.** სიჩუმე, აბა ვიწყებთ! (სკამები, ავეჯი მიალაგეს) დაიწყე, ნატა (იწყებენ ჩქარ სიმღერას. ცეკვავენ. ტაში, საერთო მხიარულება).

### საცეკვაო სიმღერა.

„ვაშა, შრომა მეუფებს
განათებულ თვალებით!
ძველ ქვეყანას მიათრევს
თავის მაჯანკალებით!
ძირსა ჭიქავს ქვემეხი,

მუშაობა 1905 წელს. ეს ლამაზად მოთხრობილი ამბავი თვითონ ამხ. ე. იაროსლავსკის თავგადასავალია. ის მოგვითხრობს, თუ როგორ ეწეოდა აგიტაცია-პროპაგანდას მუშათა წრეებში. წიგნში გარკვეულად ჩანს ბოლშევიკური მუშაობის სიძლიერე და მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები. ამხ. იაროსლავსკის ზემოთ დასახელებული წიგნი დაწერილია მოზრდილთათვის. ის ახალი თაობის ბოლშევიკურად აღზრდისათვის უდავოდ კარგია.

ამხ. ბ. ბიბინეიშვილის წიგნში „საიდუმლო გვირაბი“ მოთხრობილია 1905 წლის რევოლუციური საქართველოს ერთერთი ეპიზოდი. ამ წიგნში აწერილია ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეში გვირაბის გაყვანის ამბავი,— ეს გვირაბი 1905 წელს რევოლუციურმა ტუსაღებმა გათხარეს.

„საიდუმლო გვირაბში“ მოცემულია რევოლუციონერთა მტკიცე რწმენა და ბოლშევიკური შეუპოვრობა. ეს წიგნი უდავოდ კარგია ახალგაზრდობისათვის ბოლშევიკური არალეგალური მუშაობის გასაცნობად.

საბჭოთა მწერლის კონსტანტინ ლორთქიფანიძის საბავშვო წიგნში „გაზეთი“ მოთავსებულია 5 მოთხრობა: „კომკავშირის ისტორიიდან“, „პიონერი თანდო“, „ცხოვრების დაუბრუნდა“, „გატეხილი თოფი“, „პატარა რიქშა“. წიგნი დაწერილია მეტად მოქნილად, ადვილად ენით. იგი ხალისით იკითხება. პირველ მოთხრობაში („კომკავშირის ისტორიიდან“) მოცემულია კომკავშირის გმირული ბრძოლა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. კარგი მოთხრობაა „პიონერი თანდო“. ამ მოთხრობაში პატარა ენთუზიასტები კარგად არიან ნაჩვენები. მოთხრობა „ცხოვრების დაუბრუნდა“ საინტერესოა იმ




მხრივ, რომ იქ მოცემულია, თუ როგორ დაუბრუნდ ქუჩის ბავშვი ნამდვილ სოციალისტურ ცხოვრებას. ასევე კარგია „გატეხილი თოფი“. „პატარა რიქშა“-ში ასახულია ჩინელი ბავშვების ცხოვრება თეთრკანიანი ჯალათების ხელში.

კ. ლორთქიფანიძის „გაზეთი“ უთუოდ სასარგებლო პიონერთა ასაკის ბავშთათვის.

ლ. ალმასხანიძე.

# რესპუბლიკანური თათბირისათვის საბავშვო ლიტერატურის საკითხები

ა/წ. 15 ნოემბერს ქ. ტფილისში ჩატარდება რესპუბლიკანური თათბირი საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე დღის შემდეგი წესრიგით:

1. ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის ამოცანები ბავშთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში (მომხსენებელი ამხ. ე. ბედია).

თანამოხსენება: ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის მდგომარეობა საქართველოში და ჩვენი ამოცანები (მომხსენებელი ამხ. აკ. რეხვიაშვილი).

2. საბავშვო დრამატურგიის ამოცანების შესახებ (მომხს. ამხ. შ. რადიანი). თანამოხსენება: სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა თეატრის მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. თაყაიშვილი).

3. ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის 1934 წლის საგამომცემლო თემატიკური გეგმის განხილვის შესახებ (მომხსენებელი ამხ. ან. ღვინიაშვილი).

რესპუბლიკანური თათბირის ჩატარებამდის ქუთაისში 28 ოქტომბერს, ბათომში 3 ნოემბერს, სოხუმში 3 ნოემბერს, ზუგდიდში 28 ოქტომბერს, თელავში 1-ლ

ფიფოოს, სტალინისადმი 25 ოქტომბერს და რსუ-ოგეთში ოქტომბერს ჩატარდება სარაიონთაშორისო თათბირი ახალგაზრდობისა და სპორტის ლიტერატურისა და ... ბიერ რაიონის ბავშვთა მოშესახურეობის შესახებ, სადაც მიეწვეულნი იქნებიან მომზადებულად საუკეთესო ... ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

29